# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბეჭდვის გაცდანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


ორშაბათი, 16 იანვარი. 2023 წ. №6 (9538) ელ.ფოსტა: sakresp@top.ge და sakresp@mail.ru ფასი 1 ლარი


წინ, წინაპრებისკენ!

## წმიდა ექვთიმე ღმრთისკაცი



რონინ მეტრეველი:





## სამშობლოს სიყვარულში დაფერფლილი სიცოცხლე

იხ. 6-7 გვ.

ექვთიმე თაყაიშვილი – 160

დღეს დიდი ექვთიმეს დაბადებიდან 160 წელს აღვნიშნავთ. საქართველომ იცის თავისი შვილის, ქვეყნისა და ხალხის წინაშე გამოჩენილი მამულიშვილის ექვთიმე თაყაიშვილის ფასი. საქართველოს ეკლესიამ იგი წმიდანად შერაცხა და აქედან მოკიდებული „წმიდა ექვთიმე ღმრთისკაცად“ იწოდება.

ამერიკელი გენერალი თუ „პროფესიონალი მკითხავი“?!



იხ. 8 გვ.

## საქართველო ვერასდროს დაიბრუნებს აფხაზეთსა და ცხინვალს, თუ უკრაინა წააგებს!

ზედმეტად მიკერძოებული, თანაც გადამდგარი გენერალი ბენ ჰოჯესი რის ხარჯზე გვამუნათებს?!



თეა წულუკიანი:

## ხელისუფლება არ დაუშვებს, რომ საქართველო ჩაბმული აღმოჩნდეს სამხედრო დაპირისპირებაში!

იხ. 2 გვ.



## ქართული ესტრადისა და კინოს კოლორიტი

**84 წლის ასაკში მომღერალი, კინომსახიობი, რეჟისორი, სცენარისტი, საქართველოს სახალხო არტისტი ვახტანგ (ბუბა) კიკაბიძე გარდაიცვალა.**

მწუხარებას გამოვთქვამ გამოჩენილი ქართველი ხელოვანის — მსახიობისა და მომღერლის ბუბა კიკაბიძის გარდაცვალების გამო. ჩვენი ქვეყნის მრავალი თაობისათვის მისი, როგორც მსახიობის სახელი დაკავშირებულია არაერთ საყვარელ პერსონაჟთან, რომლებმაც დროს გაუძლო და კიდევ დიდხანს გაახარებს მაყურებელს. თანავუგრძნობ მის ოჯახს, ახლობლებსა და მეგობრებს.

ირაკლი ღარიბაშვილი.

საქართველოს პარლამენტის სახელით, მწუხარებას გამოვთქვამ გამორჩეული ქართველის, საქართველოს პარლამენტის უხუცესი წევრის, ბუბა კიკაბიძის გარდაცვალების გამო. მისი პერსონაჟებისა და სიმღერების მიმართ სიყვარულს ქართველი ხალხი უკვე ათწლეულები ატარებს და ეს სიყვარული კიდევ ბევრი ათწლეული გაგვითბობს გულს. თანავუგრძნობ მის ოჯახსა და ახლობლებს.

შალვა პაპუაშვილი.

ვწუხვარ ცნობილი ქართველი კინომსახიობის, სცენარისტის, ყველასთვის საყვარელი საესტრადო მომღერლის, ბუბა კიკაბიძის გარდაცვალების გამო. დიდია ბუბა კიკაბიძის დამსახურება კინემატოგრაფიაში, ქართული საესტრადო მუსიკის განვითარებაში. იგი იყო არაერთი ჯილდოსა და პრემიის მფლობელი, თუმცა მთავარი ის დიდი სიყვარულია, რაც მაყურებელს და მსმენელს დაუტოვა. ვიზიარებ ბუბა კიკაბიძის ოჯახის, მისი მეგობრების, ქართული კულტურის წარმომადგენელთა გულისტკივილს...

კახა კალაძე

სანჩერეში პაოლო იაშვილის განახლებული სახლ-მუზეუმი გაიხსნა



ცისფერყანწელთა ნაკვალევზე

# დნეპროპეტროვსკის დაბომბვას მსხვერპლი მოჰყვა



უკრაინის ქალაქ დნეპროპეტროვსკში რუსეთის ავიაციის მიერ საცხოვრებელი კორპუსის დაბომბვის შედეგად დაღუპულთა რიცხვი 20-მდე გაიზარდა, მათ შორის ერთი ბავშვია. კორპუსის ნანგრევებიდან მაშველებმა 38 ადამიანი, მათ შორის ექვსი ბავშვი გამოიყვანეს. დაბომბვის შედეგად დაშავებულია 73 ადამიანი, მათ შორის – 14 ბავშვი.

# სალომე ზურაბიშვილი: ვგმობ სასტიკ თავდასხმას საცხოვრებელ კორპუსზე!

**მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ სასტიკი თავდასხმა არის საერთაშორისო სამართლის ნორმების დარღვევა,** – ამის შესახებ საქართველოს პრეზიდენტმა, სალომე ზურაბიშვილმა, უკრაინის ქალაქ დნეპროპეტროვსკში, საცხოვრებელი კორპუსის დაბომბვასთან დაკავშირებით განაცხადა.

**„კატეგორიულად ვგმობ სასტიკ თავდასხმას საცხოვრებელ კორპუსზე უკრაინის ქალაქ დნიპროში. მოსახლეობის მიმართ ძალადობის მიუღებელი ჩვენება, ეს არის საერთაშორისო სამართლის ყველა ნორმის დარღვევა. ჩვენ ვდგავართ მათ გვერდით, ვინც დაკარგა საყვარელი ადამიანები დნიპროში და უკრაინაში“!..**



# თეა წულუკიანი: „ნაცმოძრაობის“ ანტიეროვნული ნაბიჯები კიდევ უფრო აშკარა ხდება ამ ფარული ჩანაწერების მოსმენის შემდეგ

**ქართველი ხალხი ხედავდა, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ მმართველობის პერიოდში ძალიან ბევრი ნაბიჯი გადაიდგა მაშინდელი ხელისუფლების მიერ საქართველოს საზიანოდ და რუსეთის სასარგებლოდ, მაგრამ ეს კიდევ უფრო აშკარა ხდება ამ ფარული ჩანაწერების მოსმენის შემდეგ...**

მინისტრის თქმით, უნდა ვივარაუდოთ, რომ გამოქვეყნებული ჩანაწერი არის ერთ-ერთი იარაღი „ნაციონალური მოძრაობის“ შიგნით დაპირისპირებულ ჯგუფებს შორის.

**„ალბათ საფუძვლიანად უნდა ვივარაუდოთ, რომ გამოქვეყნებული ჩანაწერი არის ერთ-ერთი იარაღი „ნაციონალური მოძრაობის“ შიგნით დაპირისპირებულ ჯგუფებს შორის, რათა ერთმა გამოსტყუოს მეორეს მასალა და ამით ებრძოლონ ერთმანეთს. გულახდილად უნდა გითხრათ, რომ ეს დიდად საინტერესო ჩემთვის არ არის, უბრალოდ, შემაშფოთებელია ის, რაც მოვისმინეთ, თუკი ეს ჩანაწერები ავთენტურია, რომ ქალბატონ გიულის და კიდევ სხვებს უფრო მეტად აინტერესებთ რუსეთის აზრი, მათ შორის, მიშა სააკაშვილის, როგორც კრიმინალის საქართველოში შემოპარვასთან დაკავშირებით, ასევე ქვეყნისთვის მნიშვნელოვან სხვა თემაზე აინტერესებთ რუსეთის აზრი და არა ის, თუ რას ფიქრობს ქართველი ხალხი. ეს უკვე არის აშკარა. ჩვენ ამას დიდი ხანია, ვამბობდით. რა თქმა უნდა, ქართველი ხალხი ხედავდა, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ მმართველობის პერიოდში ძალიან ბევრი ნაბიჯი გადაიდგა მაშინდელი ხელისუფლების მიერ საქართველოს საზიანოდ და რუსეთის სასარგებლოდ, მაგრამ ეს კიდევ უფრო აშკარა ხდება ამ ფარული ჩანაწერების მოსმენის შემდეგ“,** – განაცხადა თეა წულუკიანმა.

# ხელისუფლება არ დაუშვებს, რომ საქართველო ჩაბმული აღმოჩნდეს სამხედრო დაპირისპირებაში!

**საქართველოს, მისი სახელმწიფოსა და მისი ხალხის სამხედრო დაპირისპირებაში ჩართვის სხვადასხვა ფორმით მცდელობები, როგორც ჩანს, გრძელდება. მარტივად რომ ვთქვა, ეს დასანანია. პასუხი არის ერთადერთი – საქართველოს ხელისუფლება არ დაუშვებს, რომ საქართველოს სახელმწიფო ჩაბმული აღმოჩნდეს სამხედრო დაპირისპირებაში!**

**„შესაბამისად, რა თქმა უნდა, ჩვენ ვერ აღმოვუჩენთ სამხედრო ტიპის დახმარებას სამხედრო დაპირისპირების ერთ-ერთ მხარეს, მით უმეტეს, რომ, როგორც ვიცი, საუბარია ისეთი იარაღის გადაცემაზე, რომელიც ჩვენ შევიძინეთ, მაგრამ ეს უბრალოდ დეტალია. ალბათ, მთავარი არის ძირითადი გენერალური ხაზი და პოზიცია ხელისუფლების, ქვეყნის, რომელსაც ჰქვია საქართველო, რომ ჩვენ არ გვსურს, ვიყოთ ომში.**

**ჩვენ ძალიან ბევრი ომი გადავიტანეთ. ეს შეიძლება, ზოგიერთ მსმენელს არ ახსოვდეს, რადგან შემდეგ გაჩნდა და იზრდება... მას შემდეგ გაჩნდა, რაც ომები საქართველოში დამთავრდა, მაგრამ ჩვენ ხელისუფლებაში ვართ ომის თაობები. ჩვენ ძალიან კარგად გვახსოვს, ეს რამხელა უბედურებაა. ამიტომ ჩვენ ამას უბრალოდ ვერ დავუშვებთ, ეს არის ჩვენი პასუხისმგებლობა ჩვენი ქვეყნის მომავლის წინაშე. ამიტომ, როგორც აქამდე დავდიოდით ამ დანის პირზე, იმედი მაქვს, მომავალშიც წარმატებით გავივლით. იმედი მაქვს, უკრაინაში ომი მალე დასრულდება და ის დასრულდება უკრაინული სახელმწიფოსა და ხალხის გამარჯვებით“,** – განაცხადა წულუკიანმა.

უკრაინის პრეზიდენტის ადმინისტრაციის მრჩეველი მიხაილ პოდოლიაკი საქართველოს მიერ კიევისთვის საზენიტო-სარაკეტო კომპლექს „ბუკის“ გადაცემაზე უარს „გოლოვანოვთან“ ინტერვიუში გამოეხმაურა. მისი თქმით, „ომის ათთვენახევრის შემდეგაც კი საქართველოს მთავრობას არ ესმის, ვის მხარეს უნდა იყოს“.

## „ქართული ოცნების“ კომუნიკაციების დეპარტამენტი:

# რუსი ჟურნალისტის სიყალბე და ჭორაობა!

„The new York Times“ აქვეყნებს შეკვეთილ, დეზინფორმაციულ სტატიას საქართველოს შესახებ, რომელშიც რუსი ავტორი, ივან ნეჩეპურენკო ყოველგვარი მტკიცებულების გარეშე, ჭორებზე დაყრდნობით ამტკიცებს, რომ თითქოს საქართველო ეხმარება რუსეთს სანქციებისგან თავის არიდებაში. დეზინფორმაციის გასამყარებლად რუსი ავტორი წერს, რომ საქართველო – რუსეთის საზღვარზე ბევრი ტრაილერი დგას. რუსი ჟურნალისტის ჭორაობას კოორდინირებულად ეხმაურება „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ კონტროლირებადი მედია. მათ მყისვე აიტაცეს ყალბი სტატია და ყველა პლატფორმაზე განათავსეს.

სინამდვილეში, რუსი ჟურნალისტის სტატია სრული სიყალბე და ჭორაობაა. საქართველო მტკიცედ იცავს დასავლელი პარტნიორების მიერ დაწესებული სანქციების პირობებს. არ არსებობს არც ერთი ფაქტი, რომ რუსეთმა ჩვენი ქვეყნის გავლით რაიმე სანქცირებული ტვირთი მიიღო! საბაჟო გამშვები პუნქტები პარტნიორებთან მუდმივ კოორდინაციაში არიან.

სინამდვილეში ეს ყველაფერი არის ნაცმოძრაობისთვის დავალებების მიმცემების მიერ კოორდინირებული, დეზინფორმაციული კამპანიის ნაწილი, რომელიც მიზნად ისახავს ჩვენი ქვეყნის დისკრედიტაციას. რაც შეეხება რუს ჟურნალისტს, ივან ნეჩეპურენკოს, ეს ადამიანი ცნობილია ყალბი დაკვეთილი სტატიების გავრცელებით. ზუსტად ერთი წლის წინ მან გაავრცელა დეზინფორმაციული, შეკვეთილი სტატია ქართული ოცნების დამფუძნებელზე, ბიძინა ივანიშვილზე.

2016 წელს ნეჩეპურენკოს დარღვეული აქვს საქართველოს კანონი ოკუპაციის შესახებ, რაც დასტურდება მისივე ინსტაგრამის გვერდიდან. ის აქვეყნებს ფოტოს, რომელიც აფხაზეთში ყოფნის დროს გადაიღო. გარდა ამისა, ღიად აფიქსირებს კრემლისადმი ლოიალურ განწყობას. ის საჯაროდ აღნიშნავს День Победы-ს წითელ მოედანზე“, – ნათქვამია Facebook-პოსტში.

# „ერთ „მოთამაშე თავმჯდომარეს“ როგორ გადააყოლეთ ამხელა პარტია?!

ოპოზიციონერი დეპუტატი, **თაკო ჩარკვიანი** „ნაციონალურ მოძრაობაზე“ წერს და აღნიშნავს, რომ პარტიის თავმჯდომარემ, ნიკა მელიამ „ნაც მოძრაობა“ „ნაც უძრაობა“ გახადა.

**„რა სამწუხაროა, რას დაამსგავსა მსხვილი ოპოზიციური პარტია „ნაც მოძრაობა“ (შესანიშნავი იდეალისტი ამომრჩევლით მენანება), უვარგისმა „თავმჯდომარემ“, რომელსაც დაავიწყდა ვის ნაღვაწზე და ვისი ხმებით მოვიდა (რომლის სახელის ხსენებაც აღარ სიამოვნებდა და ღიად და თავხედურად ამბობდა ამას), რომლის „თავმჯდომარეობის“ დროსაც ისე დაეცა რეიტინგი, პროცენტი 2018 და 20 წელთან შედარებით, რომ გამეოთხედდა, ღიად ლანძღავენ ადამიანები ოპონენტებს (თანაგუნდელებს) და ეს მაშინ, როცა პარტიის დამფუძნებელი მესამე პრეზიდენტი მოწამლული კვდება ციხეში, რა სამწუხაროა, ერთ „მოთამაშე თავმჯდომარეს“ როგორ გადააყოლეთ ამხელა პარტია?! მართლა „ნაც მოძრაობა კი არა „ნაც უძრაობა“ გახადა, რა თქმა უნდა, კმაყოფილი იქნება „ოცნების“ ხელისუფლება, იოცნებეს და ამან, მელიამ შეუსრულა“,** – წერს ჩარკვიანი.





# რატომ გამოენთნენ ზაზა შათირიშვილს?!

# ბომბი წერილი

**მთელი ქართული აგენტოკრატია ერთხმად გამოენთო ზაზა შათირიშვილის წერილის შინაარსის (სადაც ის მსოფლიო პოლიტიკაზე ზემძლავრი ამერიკული ოჯახების გავლენებზე საუბრობს) არა გასაკრიტიკებლად, არამედ გასაპროტესტებლად, დასაგმობად და ქარცეცხლში გასატარებლად. დიდი გამჭრიახობა არ უნდა იმის დანახვას, რომ ბატონი ზაზას წერილში მხილებულ არაფორმალურ მმართველობაზე დაქირავებულთა ის არმია შფოთავს, რომელსაც „საქართველოში არაფორმალური მმართველობის მხილება“ გაუხდია სარჩოს მოპოვების გზად და საშუალებად.**

საინტერესო ისაა, რომ „კრიტიკოსები“ ფაქტებისა და არგუმენტების „გასაბათილებლად“ იმ ცნობილ სიტყვათა წყობას იყენებენ, რომელთა წარმოშობის ისტორია და დანიშნულება ბატონმა ზაზამ მეორე დღეს გამოქვეყნებულ მორიგ წერილში ზედმიწევნით ახსნა. ეს სიტყვებია – **„შეთქმულების თეორია“(!).** როცა კონტრარგუმენტები არ მოგეპოვება, **ძალიან მოსახერხებელია, შენთვის არასასურველ მოსაზრებებს წინასწარ მომზადებული კლიშე შეაგებო** და კიდევ უკეთესი, თუ ამას ირონიულ ინტონაციასაც მოარგებ.

**ბომბი წერილის ავტორი, ოპონენტებისგან განსხვავებით, ფაქტებით საუბრობს,** როგორიცაა, მაგალითად ის, რომ **ბაიდენი არ მართავს ამერიკას.** შეუიარაღებელი თვალითაც ჩანს, რომ **„მძინარე ჯო“ ამ დიდი ამოცანის შესრულებისთვის სრულიად უუნაროა.** აღნიშნულთან დაკავშირებით, წერილში ერთი მეტად საინტერესო ვარაუდია გამოთქმული – **„ბაიდენის პრეზიდენტობა იმის მაუწყებელია, რომ არაფორმალური მმართველობის აღქმის შექმნა ოჯახებს სრულიად შეგნებულად და მთელი მსოფლიოს დასანახად სურთ“.**

დამოუკიდებელი, ანუ **„ურჩი“ დონალდ ტრამპის** პოლიტიკიდან განდევნის მცდელობის დღემდე მიმდინარე პროცესი, პოლიტიკაში **„უხილავი ხელის“** როლს კიდევ უფრო თვალსაჩინოს ხდის.

როცა კენედის საქმის მაგალითზე, **„ფოქს ნიუსის“** მეტად ავტორიტეტული ჟურნალისტი ასკვნის, რომ **„ამერიკას მართავენ ძალები, რომლებიც დემოკრატიული კონტროლის მიღმა მოქმედებენ“**, უცხო ქვეყნებიდან მართვადი ქართველი ენჯეო-აქტივისტები, ფსევდო-ჟურნალისტები და ფსევდო-ექსპერტები ზაზა შათირიშვილის მისამართით იწყებენ ქილიკს.

როცა ზაზა შათირიშვილი, თავისი არგუმენტების გამყარების მიზნით, ხსენებული ამერიკელი ჟურნალისტის კიდევ უფრო შორს მიმავალ დასკვნებს იშველიებს, რომ **„ეს ძალები, სინამდვილეში, ბევრად უფრო ფართო ძალაუფლებას ფლობენ, ვიდრე ისინი, რომლებიც ფორმალურად მათ კონტროლზე არიან პასუხისმგებელი“**, ქართველი აგენტოკრატები ქართველ პუბლიცისტს ანტიამერიკელის იარლიყს აკერებენ.

როცა ამერიკელი ჟურნალისტი დემოკრატიული სისტემებისთვის ყველაზე მძიმე ბრალდებებით გამოდის და ამერიკელ „იატაკქვეშელებს“ ამხელს დემოკრატიის ფუძემდებლური პრინციპების ფეხქვეშ გათელვაში – **„ისინი ახდენენ გავლენას არჩევნების შედეგებზე და ქმნიან მთავრობას მთავრობაში“**, რასაც თვითონვე **„დემოკრატიის იდეის დაცინვას“** უწოდებს, ჩვენი სხვისი ხელისბიჭები ისევ ზაზა შათირიშვილს უპრუწავენ ტუჩებს, მოსკოვის დავალებებს ასრულებო.

ვისაც არც ფაქტების სჯერა და არც აღქმების („ტაბელურ იარაღად“ რომ აქვთ ქცეული), ვეცდები, სამეცნიერო თეორიებით გამყარებული ანალიზით ავუხილო დონორების კარნახს მინდობილი თვალები:

ცნობილია, რომ **სახელმწიფოს განვითარების ბაზისი არის ეკონომიკა, ხოლო პოლიტიკა მისი ერთ-ერთი ზედნაშენი.** ეს აქსიომური ჭეშმარიტება თავის თავში მოიცავს დიდ ალბათობას იმისა, რომ **თუკი რომელიმე მსხვილი ტრანს-ეკონომიკური კორპორაციის მამებს მოერევათ სურვილი, პოლიტიკაზე გავლენა მოიპოვონ და ამისთვის გაიღებენ შესაბამისი რაოდენობის ფინანსურ რესურსს,** ისინი ამას წარმატებით მოახერხებენ. მითუმეტეს, ამას მოახერხებენ აღნიშნული მიზნით გაერთიანებული (თუნდაც სამი-ოთხი კორპორაციისგან შემდგარი) სუბიექტები.


…ვინ მართავს ამერიკას?
როცა თქმა სჯობს არა თქმასა...
„ომის ღმერთებო“, - არაფერი დაგვრჩა შემოსაწირი...
ზაზა შათირიშვილი: ყველამ იცის, რომ ამერიკას არა ბაიდენი, არამედ რამდენიმე ოჯახი მართავს

ვის ვის და საქართველოში მცხოვრებ ადამიანს სწორედ რომ არ უნდა უკვირდეს პოლიტიკაში არაფორმალური მმართველობების არსებობის შესაძლებლობა - **ჩვენი ყოველდღიურობაა აფხაზეთსა და სამაჩაბლოში კრემლის რეჟიმის არაფორმალური მმართველობები** და ე.წ. კოლექტიურ ნაცმოძრაობაში მოქმედი ორმაგი არაფორმალური მმართველობა, **ერთი მხრივ, უკრაინის მოქალაქის, მიხეილ სააკაშვილისა და მეორე მხრივ,** მისი ზემდგომი, **ამერიკის ელჩის მონაწილეობით.**

სამივე შემთხვევაში **არაფორმალურ მმართველობას განაპირობებს შესაძლებლობები და არაფორმალური მმართველების ნება და ინტერესი.** საბოლოოდ, ყველა კონკრეტულ მოცემულობაში, **მსჯელობა უნდა ემსახურებოდეს არა იმას, მმართველობის ამგვარი ფორმა შესაძლებელია თუ არა, არამედ იმის ახსნას და დასაბუთებას, თუ რამდენად არსებობს ასეთი ნება და ინტერესი.**

ზაზა შათირიშვილისგან ველით შეპირებულ ახალ ფაქტებსა და ახალ არგუმენტებს. **საპოპკორნე მოლოდინს ნუ გაიჩენთ,** ჩვენ გავლენის სფეროების გადანაწილებისთვის მებრძოლი ზესახელმწიფოებისგან მომდინარე განადგურების საფრთხეებისგან თავის დაცვას ვცდილობთ მხოლოდ. **ეს ბრძოლაა, სადაც ჩვენი იარაღი სიმართლეა და არაფერი სიმართლის გარდა.**

**ბიძინა დვალი.**

12.01.2023 წ.



# დავით ბაქრაძე: აფხაზეთსა და ცხინვალში ადამიანის უფლებები ირღვევა

**გაეროს უშიშროების საბჭოს სხდომაზე კანონის უზენაესობის საკითხზე ღია დებატები გაიმართა. დებატების მთავარი საკითხები უკრაინის წინააღმდეგ რუსეთის აგრესია და ჩრდილოეთ კორეის ბირთვული პროგრამა იყო.**

სხდომაზე სიტყვით გამოვიდა გაეროში საქართველოს ელჩი **დავით ბაქრაძე,** რომელმაც რუსეთის მიერ საერთაშორისო სამართლის უხეშ დარღვევებზე ისაუბრა, მათ შორის საქართველოს რეგიონების ოკუპაციასა და უკრაინის წინააღმდეგ საომარ მოქმედებებზე. როგორც გაეროში საქართველოს ელჩმა დავით ბაქრაძემ უშიშროების საბჭოს სხდომაზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა, კანონის უზენაესობის დაცვისა და გაძლიერების აუცილებლობა ყველა სახელმწიფოს თანაბრად ეხება. მისივე თქმით, სამწუხაროა, რომ საერთაშორისო სამართლის ძირითადი პრინციპები, მათ შორის სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობის პრინციპები, უხეშად ირღვევა, რაც მუდმივად საფრთხეს უქმნის საერთაშორისო მშვიდობას.

**„კანონის უზენაესობა არის მშვიდობის, უსაფრთხოებისა და მდგრადი განვითარების საფუძველი. შესაბამისად, გვჯერა, უპირობოა, რომ კანონის უზენაესობის დაცვისა და გაძლიერების აუცილებლობა ყველა სახელწმიფოს თანაბრად ეხება და უნდა წარმოადგენდეს ქვეყნების სახელმძღვანელოს ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე.**

**სამწუხაროდ, გაეროს დაარსებიდან 78 წლის შემდეგ საერთაშორისო სამართლის ძირითადი პრინციპები, მათ შორის სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის პრინციპები, საზღვრების ხელშეუხებლობა და შიდასაქმეებში ჩაურევლობა, კვლავ უხეშად ირღვევა, რაც მუდმივ საფრთხეს უქმნის საერთაშორისო მშვიდობას, უსაფრთხოებას, გაეროს წესდებას, წესებზე დაფუძნებულ წესრიგს და მულტილატერალიზმს. აქედან გამომდინარე, ქვეყნების წინაშე არსებული გამოწვევების სია გრძელია.**

**მსურს, ჩემი ქვეყნის მაგალითი აღვნიშნო, სადაც რუსეთის მიერ ოკუპირებულია საქართველოს რეგიონები – აფხაზეთი, ცხინვალი და მათი მცხოვრებლები კვლავ განიცდიან ადამიანის უფლებების დარღვევებს, დისკრიმინაციას. საერთაშორისო სამართლის ნორმებისა და პრინციპების მძიმე დარღვევები ასევე გრძელდება უკრაინის წინააღმდეგ რუსეთის სამხედრო აგრესიით, რომელსაც საქართველო უმკაცრესად გმობს.**

**უკიდურესად შემაშფოთებელია, რომ საერთაშორისო სამართლის ნორმები და პრინციპები, რომელთა დაცვა ჩვენი, ყველას ვალდებულებაა, მუდმივად ირღვევა გაეროს უშიშროების საბჭოს მუდმივმოქმედი წევრის მიერ, რომლის მთავარი პასუხისმგებლობა არის და უნდა იყოს გლობალური უსაფრთხოების ხელშეკრულება.**

**მოვუწოდებთ რუსეთს, შეასრულოს საერთაშორისო სასამართლოს 2022 წლის 16 მარტის დროებითი ზომები, დაუყოვნებლივ შეწყვიტოს აგრესია და გაიყვანოს თავისი ძალები, სამხედრო ტექნიკა უკრაინის მთელი ტერიტორიიდან“,** – განაცხადა დავით ბაქრაძემ.



# დიმიტრი ხუნდაძე: მიმდინარეობს გააფთრებული ბრძოლა უცხოეთიდან საქართველოზე სრული საავტორო უფლებების ასაღებად

საქართველოს პარლამენტის წევრი და მოძრაობა **„ხალხის ძალის“** ერთ-ერთი ლიდერი **დიმიტრი ხუნდაძე** ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის პრესსამსახურის უფროსის მოადგილის განცხადებას ეხმაურება და აცხადებს, რომ სააკაშვილის ირგვლივ ატეხილი ასეთი აჟიოტაჟი სერიოზულ კითხვებს ბადებს და ეს ეჭვები დღითიდღე იზრდება.

**„უცხოეთიდან თამაშის ორმაგი სტანდარტები მალე შეიძლება სამმაგად იქცეს. ვითარება წესებს აღარ ექვემდებარება. მიხეილ სააკაშვილის ჯანმრთელობის ირგვლივ შექმნილი ასეთი აჟიოტაჟი სერიოზულ კითხვებს ბადებს და ეჭვებს ზრდის.**

**მიუხედავად იმისა, რომ სააკაშვილის ჯანმრთელობის შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პარტნიორი ქვეყნის ხელმძღვანელობისთვის, ჩვენ მაინც ვისმენთ მათ „ღრმა შეშფოთებულ“ განცხადებებს.**

**რას მივაწეროთ სააკაშვილის ირგვლივ ატეხილი ასეთი საეჭვო აჟიოტაჟი? ხომ არ არის ამის საფუძველი გარკვეული შიში ან თავად სააკაშვილის მხრიდან ერთგვარი შანტაჟი ყოფილი პარტნიორებისადმი? ან კიდევ სხვა უფრო მნიშვნელოვანი მიზანი? რისი ეშინიათ ასე ძალიან ან რისთვის იყენებენ სააკაშვილის ფაქტორს?**

**ცხადია, ამ შესაძლო შანტაჟის გარდა, მიშა საქართველოს ხელისუფლებაზე ზეწოლის საშუალებაა. ეს პრესი კიდევ უფრო გაიზრდება, რაც მეტად დაიძაბება ბრძოლის ველზე სიტუაცია და გაიზრდება საქართველოს ომში ჩართვის საჭიროება დიდი ომის სასურველი შედეგით დასრულებისთვის. უკრაინაში მიმდინარე ომის შედეგების გათვალისწინებით, პრესი საქართველოზე იზრდება. ამას ემატება მოახლოებული 2024 წელი და ბრძოლა ხელისუფლებისთვის, ანუ უცხოეთიდან საქართველოზე სრული „საავტორო უფლებების“ ასაღებად.**

**რუსეთისგან სისხლიანი გამოხსნის შემდეგ, მისცემს თუ არა ამ უფლებებს ქართველი ხალხი კიდევ ვინმე სხვას, ამას სწორედ მოახლოებული არჩევნები გადაწყვეტს. მანამდე კი, როგორც ჩანს, არაერთხელ მოგვიწევს პარტნიორული უფლებების ხმამაღალი განმარტება. ჩვენ კი, საჭიროა გამძლეობა გამოვიჩინოთ ახლა, ვიდრე შემდეგ იძულებით ჩართულ ომში“,** – აღნიშნავს **დიმიტრი ხუნდაძე.**

აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის პრესსპიკერის მოადგილემ, ვედანტ პატელმა განაცხადა, რომ აშშ დიდ ყურადღებას აქცევს მიხეილ სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობას.

# ზურაბ აზარაშვილი: სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, არსებობდეს ბავშვთა და მოზრდილთა ონკოლოგიური დაწესებულების სახელმწიფო ალტერნატივა

**„აუცილებელი და სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, არსებობდეს ბავშვთა და მოზრდილთა ონკოლოგიური დაწესებულების სახელმწიფო ალტერნატივა“,** – ამის შესახებ ჯანდაცვის მინისტრმა ზურაბ აზარაშვილმა განაცხადა.

უწყების ხელმძღვანელმა ონკოლოგიური დაავადებების მქონე ბავშვებისთვის საჭირო სერვისებზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ ამ მიმართულებით სამინისტროში მუშაობა დაწყებულია.

**„დაახლოებით, 2 თვის წინ, როცა „იაშვილის კლინიკაში“, სამინისტროს მხრიდან, სხვადასხვა პრობლემები გამოვლინდა, დავაყენეთ საკითხი იმასთან დაკავშირებით, თუ რატომ არ არის ონკოლოგიური დაავადებების მქონე ბავშვებისთვის საჭირო სერვისის მიმწოდებელი სხვა დაწესებულება და რატომ არ შეიძლება იყოს ეს სახელმწიფო?! პრობლემები, რაც იყო დაფიქსირებული მშობლების მხრიდან, მკურნალობისა და ექიმებთან კომუნიკაციის ნაწილში, მაქსიმალურად გავითვალისწინეთ და მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ აუცილებელი და სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, არსებობდეს ბავშვთა და მოზრდილთა ონკოლოგიური დაწესებულების სახელმწიფო ალტერნატივა“.**

მინისტრმა „იხილოვის სამედიცინო ცენტრთან“ თანამშრომლობის შესახებაც ისაუბრა და აღნიშნა, რომ უცხოელი კოლეგების გამოცდილება ქართულ მხარეს მნიშვნელოვნად დაეხმარება.

**„უკვე შეიქმნა სპეციალური ჯგუფი, რომელიც სხვადასხვა ქვეყნების გამოცდილებას და პრაქტიკას ეცნობოდა. ერთ-ერთი ყველაზე კარგი პრაქტიკა ისრაელს აქვს. გასული 2 დღის განმავლობაში, სამინისტროს მოწვევით შეხვედრები გაიმართა ისრაელის დელეგაციასთან, ადგილზე მოხდა იმის შეფასება, თუ რა შესაძლებლობები გვაქვს ქვეყანაში ამ მიმართულებით, როგორც ინფრასტრუქტურული, ისე – აღჭურვილობის კუთხით.**

**ძალიან მნიშვნელოვანი კომპონენტია, ასევე, განათლებისა და მედ-პერსონალის საკითხი, რადგან ახალგაზრდა თაობისთვის, რომელიც ამ მიმართულებით აპირებს რეზიდენტურის გაგრძელებას, რეზიდენტული პროგრამები უნდა შეიქმნას ნულიდან. მანამდე კი, წარმატებული სტუდენტების გაგზავნა უცხოეთში სახელმწიფო დაფინანსებით მოხდება. სწავლის დასრულების შემდგომ კი ისინი მუშაობას სახელმწიფო კლინიკაში განაგრძობენ“,** – ამის შესახებ ზურაბ აზარაშვილმა განაცხადა.





# 15 იანვრიდან, მედიკამენტებზე რეფერენტული ფასები განისაზღვრება!

**„15 იანვრიდან მედიკამენტებზე რეფერენტულ ფასებს განვსაზღვრავთ. უკვე 15 თებერვლიდან სრულად შევა ძალაში და ყველა კომპანია, იმპორტიორი, დისტრიბუტორი თუ საცალო მოვაჭრე ვალდებული იქნება, რომ მაქსიმალური ზედა ზღვარი ამ ფასების მიხედვით დაადგინოს“,** – ამის შესახებ ზურაბ აზარაშვილმა განაცხადა.

ჯანდაცვის მინისტრის თქმით, ფარმაცევტულ სექტორს, ფასების გადახედვისთვის ვადა 31 იანვრამდე ექნებათ. თუკი სექტორი, რომელიმე მედიკამენტის ფასზე დასაბუთებულ არგუმენტს წარმოადგენს სამინისტროში შექმნილი სპეციალური საბჭო აღნიშნულს განიხილავს. მინისტრის განცხადებით, რეფერენტული ფასების დაწესება იმ რეფორმის ერთ-ერთი კომპონენტია, რომლის მიზანიც მოქალაქეებისთვის მაქსიმალურად ხელმისაწვდომი და ხარისხიანი ჯანდაცვის თუ მედიკამენტების მიწოდებაა.

მინისტრმა კონტროლისა და აღსრულების მექანიზმებზეც ისაუბრა და აღნიშნა, რომ რეგულაციების დამრღვევებს სხვადასხვა ტიპის სანქციები დაუწესდებათ.

**„წამლის კანონში ძალიან მნიშვნელოვანი კონტროლის მექანიზმი ჩავდეთ, რომელიც ნებისმიერი საბითუმო თუ საცალო ქსელისთვის ითვალისწინებს ვალდებულებას, რომ რეგულირების სააგენტოს გამოუჩნდეს ნაშთები, მედიკამენტების ჩამონათვალი და ფასები.**

**ეს ძალიან მნიშვნელოვანი მექანიზმია, არამხოლოდ რეფერენტული ფასების მიზნებისთვის, არამედ იმ მიზნებისთვის რომელიც დაკავშირებულია ელექტრონული რეცეპტების გამოწერასთან, მედიკამენტების მოძრაობასთან ქვეყანაში, ის რომ არ შეიქმნას ხელოვნური დეფიციტი და ა.შ.“,** – განაცხადა ზურაბ აზარაშვილმა.

ჯანდაცვის მინისტრის თქმით, უწყება, პარალელურად წამლის მიკვლევადობის სისტემის შექმნაზე მუშაობს. სისტემის საშუალებით, ნებისმიერ პირს და ასევე მარეგულირებელს უჩნდება შესაძლებლობა, შტრიხკოდის საშუალებით, მედიკამენტთან დაკავშირებული ინფორმაცია მარტივად მიიღოს. ზურაბ აზარაშვილის თქმით, აღნიშნული ფალსიფიცირებული და ვადაგასული მედიკამენტების მიმოქცევის კონტროლის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ბერკეტი იქნება.

# ერთიანი მომსახურების ცენტრში ჟესტური ენით მომსახურება დაინერგა

**საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ამოცანების შესრულების მიზნით, პირველ ეტაპზე, საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ერთიანი მომსახურების ცენტრში ჟესტური ენით მომსახურება დაინერგა, რაც ყრუ და სმენადაქვეითებული მოქალაქეებისთვის საპატრულო პოლიციის 50-მდე სერვისის ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს.**

ერთიანი მომსახურების ცენტრის ინსპექტორები გადამზადდნენ შშმ პირების მომსახურების სპეციფიკასა და ჟესტურ ენაში, აგრეთვე, შეიქმნა შშმ პირთა მომსახურების სტანდარტი, რომლის მეშვეობითაც ხდება მომსახურების გაცემა.

აღსანიშნავია, რომ საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ადმინისტრაციული შენობა ადაპტირებულია შშმ პირთა საჭიროებებზე. კერძოდ, ეტლით მოსარგებლე პირებისთვის ფუნქციონირებს ლიფტი, ხოლო მხედველობაშეზღუდული მოქალაქეებისთვის (უსინათლო, მცირედმხედველი) განთავსებულია ტაქტილური ბილიკები, რომელთა გამოყენებითაც აღნიშნული კატეგორიის მოქალაქე ერთიანი მომსახურების ცენტრის სივრცეში ხვდება.

**შინაგან საქმეთა სამინისტროს საპოლიციო სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით, საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის სატელეფონო მომსახურების ცენტრში დაინერგა ყრუ და სმენადაქვეითებული პირებისთვის ვიდეოზარით მომსახურების მოდელი, რის შედეგადაც ყრუ და სმენადაქვეითებული მოქალაქეებისთვის დისტანციურად ხელმისაწვდომია საპატრულო პოლიციის 50-მდე სერვისი. მომსახურებას გასცემს ერთიანი მომსახურების ცენტრის ინსპექტორი, რომელიც გადამზადებულია და ფლობს ჟესტურ ენას.**

**ვიდეოზარით მომსახურების მისაღებად ყრუ და სმენადაქვეითებულმა პირმა უნდა მოგვმართოს შემდეგ ნომერზე – (995 577 77 51 91, ხორციელდება მიღებული ზარების ჩაწერა.**

**შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი მუდმივად ზრუნავს შშმ პირებისთვის მომსახურების გაუმჯობესებაზე, ინკლუზიური და თანასწორი გარემოს შექმნით.**




# რომეო მიქაუტაძის „ახალი სამგორის მზის ელექტროსადგური“ მომგებიანი პროექტია!



**საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის პირველმა მოადგილემ, რომეო მიქაუტაძემ და „საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდის“ დირექტორმა ჯაბა ხმალაძემ არაბთა გაერთიანებული საამიროებში მიმდინარე „აბუ დაბის მდგრადი განვითარების კვირეულის“ ფარგლებში, კომპანია „Masdar-ის დირექტორთან მოჰამედ ჯამელ ალ რამაჰთან სამუშაო შეხვედრა გამართეს. აღნიშნული კომპანია განახლებადი ენერგიისა და მდგრადი ურბანული განვითარების მიმართულებით გლობალური ლიდერია და მსოფლიოს 40 ქვეყანაში ოპერირებს.**

შეხვედრაზე მხარეებმა „საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდის“ და „Masdar“-ის ერთობლივი პროექტის „ახალი სამგორის მზის ელექტროსადგურის“ შემდგომი განვითარების საკითხები განიხილეს. „ახალი სამგორის მზის ელექტროსადგურის“ საპროექტო დადგმული სიმძლავრე 96 მგვტ-ი იქნება. მისი მშენებლობა ხელს შეუწყობს ელექტროენერგიის იმპორტზე საქართველოს დამოკიდებულების შემცირებას და მოახდენს ელექტროენერგიის მიწოდების ადგილობრივი წყაროების დივერსიფიკაციას. გარდა ამისა, შეიქმნება ახალი სამუშაო ადგილები როგორც პროექტის მშენებლობის, ასევე ოპერირების დროს.

**საქართველოს დელეგაცია, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის პირველი მოადგილის რომეო მიქაუტაძის ხელმძღვანელობით, „აბუ დაბის მდგრადი განვითარების კვირეულში“ მონაწილეობს. კვირეულის ძირითადი საკითხებია გლობალური თანამშრომლობა მდგრადი განვითარების მისაღწევად, ტექნოლოგია, ინოვაცია და ეკონომიკური განვითარება. კვირეულს ესწრება 4000 მდე დელეგატი, მათ შორის სხვადასხვა ქვეყნების პრემიერ-მინისტრები და პრეზიდენტები, კერძო სექტორის წარმომადგენლები, ექსპერტები და მეცნიერები.**

## საიდუმლო დოკუმენტების „საცავი“ - პრეზიდენტის სახლში

**აშშ-ის პრეზიდენტის, ჯო ბაიდენის კერძო სახლში კიდევ ხუთი საიდუმლო დოკუმენტი აღმოაჩინეს.**

თეთრი სახლის იურისტებმა დოკუმენტები უკვე გადასცეს იუსტიციის დეპარტამენტის წარმომადგენლებს. ახლად აღმოჩენილი საიდუმლო დოკუმენტები, საერთო ჯამში, ექვსი გვერდია. აშშ-ის პრეზიდენტი და მისი თანაშემწეები დოკუმენტების შინაარსთან დაკავშირებით კითხვებს არ პასუხობენ. გავრცელებული ცნობით, საიდუმლო დოკუმენტები ჯო ბაიდენის ვიცე-პრეზიდენტობის დროს არის შექმნილი.

ბაიდენის სახლსა და ანალიტიკურ ცენტრში საიდუმლო დოკუმენტების აღმოჩენის ეს უკვე მესამე შემთხვევაა. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით აშშ-ის მთავარმა პროკურორმა საქმის გამოსაძიებლად სპეციალური პროკურორი დანიშნა. ბაიდენის ადმინისტრაციაში აცხადებენ, რომ იუსტიციის დეპარტამენტთან სრულად თანამშრომლობენ.

## ტრამპის კომპანია 1.6 მილიონი დოლარით დააჯარიმეს

ნიუ-იორკის შტატის სასამართლომ აშშ-ის ყოფილი პრეზიდენტის, დონალდ ტრამპის კომპანია The Trump Organization-ი საგადასახადო თაღლითობისა და სხვა ფინანსური სქემების ბრალდებით გაასამართლა.

**„ტრამპის კომპანია დაჯარიმდა 1.6 მილიონი დოლარით საგადასახადო თაღლითობისა და სხვა დანაშაულისთვის, რომელიც ჩადენილია გადასახადებისგან თავის არიდების მრავალწლიანი სქემის განხორციელების დროს“,** – ნათქვამია განცხადებაში. აღსანიშნავია, რომ ტრამპის კომპანიას ნიუ-იორკის შტატის კანონმდებლობით მაქსიმალური ჯარიმა მიუსაჯეს.

## ჯერ პირობა შეასრულონ და ნატოში მერე გაწევრიანდნენ!

თურქეთის პრეზიდენტის პრესსპიკერის, იბრაჰიმ კალინის განცხადებით, თურქეთის გადაწყვეტილება ფინეთისა და შვედეთის ნატოში გაწევრიანებაზე დამოკიდებულია, რამდენად სწრაფად შეასრულებს შვედეთი თავის პირობას ტერორიზმის საწინააღმდეგო ცვლილებების მოთხოვნასთან დაკავშირებით.

**„მართალია, შვედეთი ყველანაირად ცდილობს შეთანხმების პირობების შესრულებას, რომელსაც გასულ წელს, მადრიდში მოეწერა ხელი, მაგრამ კიდევ 6 თვე სჭირდება იმისთვის, რომ ტერორიზმის განმარტებაზე ცვლილებები კანონში ასახოს. თუ მათ ნატოში გაწევრიანება სურთ, შვედეთის მთავრობამ მკაფიოდ უნდა დაანახვოს ტერორისტულ ორგანიზაციებს, რომ შვედეთი აღარ არის მათთვის უსაფრთხო ადგილი. ჩვენ დროში შეზღუდულები ვართ“,** – აღნიშნა კალინმა პრესკონფერენციაზე.

## ირანი და ჩრდილოეთ კორეა რუსეთს აიარაღებენ

**ირანი და ჩრდილოეთ კორეა რუსეთისთვის იარაღის მიწოდების გაგრძელებას აპირებენ,** – ამის შესახებ გაეროს უშიშროების საბჭოს სხდომაზე ორგანიზაციაში აშშ-ის წარმომადგენელმა ლინდა ტომას-გრინფილდმა განაცხადა.

მისი თქმით, ვაშინგტონისთვის ცნობილია, რომ თეირანი რუსეთისთვის ასობით ბალისტიკური რაკეტის მიწოდებას აპირებს. ტომას-გრინფილდმა მოუწოდა, ყველას, ვისაც მშვიდობა სურს, რომ მოსკოვისთვის ირანის და ჩრდილოეთ კორეის მიერ იარაღის მიწოდების შეწყვეტა მოსთხოვონ, ხოლო რუსეთმა ომი გააჩეროს.




**2 ადგილით წინ - სად არის საქართველო 2023 წლის "ძლიერი" პასპორტების რეიტინგში?**

# ძლიერი პასპორტი ფინანსურ თავისუფლებასაც ნიშნავს!

**კომპანია HENLEY & PARTNERS-ის მსოფლიო საპასპორტო ინდექსი რეიტინგში, რომელიც ყველაზე „ძლიერ“ და ყველაზე „სუსტ“ პასპორტებს გამოავლენს, საქართველო 2023 წელს 50-ე ადგილზეა. რეიტინგის სათავეში იაპონიაა, რომლის მოქალაქეებს უვიზო მიმოსვლა (ან ვიზის ადგილზე მოთხოვნა) შეუძლიათ მსოფლიოს 193 ქვეყანაში. ბოლო ადგილზე ავღანეთია, საიდანაც უვიზოდ მხოლოდ 27 ქვეყანაშია მოგზაურობა შესაძლებელი.**

### რა არის WORLD PASSPORT შტეუჩ და რის მიხედვით ადგენენ ყველაზე „ძლიერ“ და „სუსტ“ პასპორტებს?

ჰენლის პასპორტის მსოფლიო ინდექსი არის მსოფლიოს ქვეყნების პასპორტების რეიტინგი, რომელიც დგება იმის მიხედვით, თუ რამდენ ქვეყანაში შეუძლია უვიზოდ მოგზაურობა მის მფლობელს. Henley & Partners ლონდონში დაფუძნებული გლობალური მოქალაქეობისა და რეზიდენციის საკონსულტაციო ფირმაა. სწორედ ამ ნიშნის მიხედვით მიიჩნევა ზოგიერთი პასპორტი უფრო მძლავრ პასპორტად, ვიდრე სხვები.

### რას ეფუძნება მონაცემები?

Henley & Partners-ის World Passport Index -ის ანგარიში ეფუძნება საჰაერო ტრანსპორტის საერთაშორისო ასოციაციის (IATA) ექსკლუზიურ მონაცემებს, რომელიც მოგზაურობის შესახებ ინფორმაციის უდიდესი და ყველაზე ზუსტი მონაცემთა ბაზაა.

* * *

**საქართველოს მოქალაქეებს მათი პასპორტით უვიზოდ მოგზაურობა შეუძლიათ 116 ქვეყანაში. ამ მაჩვენებლით, 2023 წელს, საქართველოს საპასპორტო ინდექსის რეიტინგში 50-ე ადგილი უკავია.**

2021 წელს (115 მიმართულება – უვიზოდ) საქართველო 55-ე ადგილზე იყო. 2022 წელს საქართველოს ეკავა 52-ე ადგილი – 116 მიმართულება – უვიზოდ.

თუ გაინტერესებთ რამდენ ქვეყანაში გაჭრის თქვენი ქვეყნის პასპორტი უვიზოდ მოგზაურობის დროს, ამ საიტზე შედიხართ და საძებო სისტემით ეძებთ თქვენს ქვეყანას.




ასე მოძებნა სისტემამ საქართველოს პასპორტი.

### რომელი ქვეყნების პასპორტები ლიდერობენ?

**1. იაპონია (193 მიმართულება);**
**2. სინგაპური, სამხრეთ კორეა (192 მიმართულება);**
**3. გერმანია, ესპანეთი (190 მიმართულება);**
**4. ფინეთი, იტალია, ლუქსემბურგი (189 მიმართულება);**
**5. ავსტრია, დანია, ნიდერლანდები, შვედეთი (188 მიმართულება);**
**6. საფრანგეთი, ირლანდია, პორტუგალია, დიდი ბრიტანეთი (187 მიმართულება);**
**7. ბელგია, ახალი ზელანდია, ნორვეგია, შვეიცარია, შეერთებული შტატები, ჩეხეთი (186 მიმართულება);**
**8. ავსტრალია, კანადა, საბერძნეთი, მალტა (185 მიმართულება);**
**9. უნგრეთი, პოლონეთი (184 მიმართულება);**
**10. ლიტვა, სლოვაკეთი (183 მიმართულება).**

### ვის ერგო 2023 წელს ყველაზე „ცუდი“ პასპორტების სტატუსი ჰენლის ინდექსის მიხედვით?

**102. ჩრდილოეთ კორეა (40 მიმართულება);**
**103. ნეპალი, პალესტინის ტერიტორია (38 მიმართულება);**
**104. სომალი (35 მიმართულება);**
**105. იემენი (34 მიმართულება);**
**106. პაკისტანი (32 მიმართულება);**
**107. სირია (30 მიმართულება);**
**108. ერაყი (29 მიმართულება);**
**109. ავღანეთი (27 მიმართულება).**

საპასპორტო ინდექსის რეიტინგის სათავეში იაპონია უკვე ზედიზედ მეხუთე წელია ექცევა. რუსეთი ამ სიის 49-ე ადგილზეა.

აზერბაიჯანი 76-ე, სომხეთი კი 79-ე ადგილს იკავებენ. Henley & Partners-ის თავმჯდომარე, დოქტორი კრისტიან ჰ. კაელინი, რომელმაც თითქმის 20 წლის წინ გამოიგონა პასპორტის ინდექსის კონცეფცია, აცხადებს, რომ ეს კვლევა იმაზეც მეტყველებს, თუ რას ნიშნავს „პასპორტის ძალა“ ფინანსური თვალსაზრისითაც. მისი თქმით, „ჰენლის პასპორტის ინდექსი“ ზომავს უვიზო წვდომას მსოფლიოში 227 მიმართულებით, რაც მოგზაურთათვის ძალიან საჭირო ინსტრუმენტია.

**„ჩვენი უახლესი კვლევა იმაზეც გვიქმნის წარმოდგენას, როგორია მზარდი ეკონომიკური უთანასწორობაც, რომელიც განსაზღვრავს ჩვენს სამყაროს“,** – აცხადებს კრისტიან ჰ. კაელინი. გლობალური ინვესტიციების ექსპერტი ჯეფ დ. ოპდაიკი კი ამბობს, რომ მართალია, ადამიანები თავიანთ პასპორტებზე არ ფიქრობენ ფინანსურ ჭრილში, მაგრამ სინამდვილეში „ძლიერი პასპორტი“ მხოლოდ გადაადგილების თავისუფლებას კი არ ნიშნავს, არამედ უფრო დიდ, ფინანსური თავისუფლებასაც ინვესტიციების და სამეწარმეო შესაძლებლობების თვალსაზრისით.

**ეკა ქევხიშვილი,**
„რადიო თავისუფლების“ ჟურნალისტი

# ქალაქების რეიტინგი, სადაც ყველაზე გადატვირთული მოძრაობაა




**მობილობის და მანქანების სერვისების მსოფლიო ლიდერმა კომპანია INRIX, Inc.-მა, 2022 წლის გლობალური ტრაფიკის ანგარიში გამოაქვეყნა და დაასახელა ქალაქები, სადაც ყველაზე გადატვირთული მოძრაობაა.**

ზედიზედ მეორე წელია, ლონდონი ამ სიის სათავეშია. გამოცემის ინფორმაციით, ლონდონელები წელიწადში საშუალოდ საცობში 156 საათს ატარებენ. რაც პანდემიამდე შედეგს 5 %-ით აღემატება.

ლონდონში მგზავრობა მძღოლს საშუალოდ 1377 გირვანქა სტერლინგი უჯდებოდა. INRIX-ის მონაცემებით, დანახარჯების მიხედვით დიდ ბრიტანეთში, ლონდონს ბრისტოლი (805 ევრო) და მანჩესტერი (742 ევრო) მოსდევს. ანგარიშში აღნიშნულია, რომ ნავთობის მაღალი ფასების გამო მგზავრები საწვავში 2022 წელს 212 გირვანქა სტერლინგზე მეტს იხდიდნენ.

გადატვირთული ქალაქების რეიტინგში ლონდონს ჩიკაგო მოსდევს. სადაც მგზავრები საცობში წელიწადში დაახლოებით 155 საათს ატარებენ. ათეულში ოთხი ქალაქი აშშ-დანაა. რეიტინგში მოხვდა ასევე საფრანგეთის, კანადისა და კოლუმბიის დედაქალაქები.

**ქალაქების ათეული, სადაც ყველაზე გადატვირთული მოძრაობაა, ასე გამოიყურება:**

**ლონდონი, გაერთიანებული სამეფო – საცობში ატარებენ 156 საათს;**
**ჩიკაგო, ამერიკის შეერთებული შტატები – 155 საათს;**
**პარიზი, საფრანგეთი – 138 საათს;**
**ბოსტონი, ამერიკის შეერთებული შტატები – 134 საათს;**
**ბოგოტა, კოლუმბია – 122 საათს;**
**პალერმო, იტალია – 121 საათს;**
**ტორონტო, კანადა – 118 საათს;**
**ნიუ-იორკი, ამერიკის შეერთებული შტატები – 117 საათს;**
**მონტერეი, მექსიკა – 116 საათს;**
**ფილადელფია, ამერიკის შეერთებული შტატები – 114 საათს.**



ექვთიმე თაყაიშვილი — მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე — ერთი მთლიანი განუყოფელი ფენომენია, ჭეშმარიტი ნიმუშია სამშობლოსთვის თავდადებისა და უანგარო სამსახურისა: იგი სამოღვაწეო ასპარეზზე გასული საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს, ცარიზმის ბატონობის მძიმე პირობებში გამოვიდა და გვერდით დაუდგა ქართული ისტორიოგრაფიის იმ სახელოვან წარმომადგენლებს, რომლებმაც ნაყოფიერი მუშაობა გაშალეს ეროვნული ისტორიის მრავალფეროვანი და მრავალმხრივი წყაროების შეკრების, მეცნიერული შესწავლისა და გამოცემისათვის. ექვთიმე თაყაიშვილმა პირველმა ჩააყენა საქართველოს ისტორიის სამსახურში მდიდარი ქართული დოკუმენტური მასალა, ქართული ეპიგრაფიკა, მანამდე შეუსწავლელი ქართული ხელნაწერები და მათი ანდერძმინაწერები, ქართული მატერიალური კულტურის ძეგლები და ყოველივე ამით მყარი ნიადაგი მოუმზადა ქართული ისტორიის მეცნიერების აღმავლობას.

დღეს, XXI საუკუნის გადმოსახედიდან განსაკუთრებული ელვარებით მოჩანს დიდი ექვთიმე. რომელიღაც ფილოსოფოსს უთქვამს, „ისტორია აღდგომა-აღორძინება არისო“. ისტორიის ამგვარი დეფინიცია, რა თქმა უნდა, სადავოა, თუმცა ე. თაყაიშვილის ბედს იგი საოცრად ესადაგება. საყოველთაოდაა აღიარებული და შორსაა გატანილი ექვთიმე თაყაიშვილის მოწამებრივი ცხოვრების ამბავი, დაიდგა ძეგლი (ავტორი ანზორ გომართელი), დაიწერა წიგნები (შალვა ამირანაშვილი, აკაკი სურგულაძე, გივი ჟორდანია, როინ მეტრეველი, შოთა ბადრიძე და სხვ.). მეცნიერის უკვდავყოფას განსაკუთრებული ამაგი დასდო რევაზ თაბუკაშვილმა შესანიშნავი ფილმით „საქართველოს მეჭურჭლეთუხუცესი“. ექვთიმე თაყაიშვილის ცხოვრება სანიმუშოა ყველასათვის, მისი მაგალითით უნდა გაიზარდოს ჩვენი ახალგაზრდობაც — შეიგრძნოს სამშობლოს ჭეშმარიტი სიყვარულის ძალა და მისთვის, მის სამსახურში თუნდაც სიცოცხლის ნაწილის დახარჯვით მიღებული სიამაყის სიამოვნება.

# სამშობლოს სიყვარულში დაფერფლილი სიცოცხლე

## ექვთიმე თაყაიშვილი – 160

ექვთიმე თაყაიშვილი 1863 წლის 3 იანვარს (ძველი სტილით) დაიბადა. მშობლები ადრე გარდაეცვალა და ბავშვობა ობლობაში გაატარა. სამიოდე წლის ექვთიმეს საბედისწერო მარცხი მოსვლია: ხიდან გადმოვარდნილა და მარჯვენა ფეხი მოუტეხია. ბავშვისთვის ყურადღება დაუკლიათ და იგი სამუდამოდ დაკოჭლებულა. 7 წლის ექვთიმე ოზურგეთის სამაზრო სასწავლებელში შეიყვანეს. აქ მაშინ მასწავლებლობდა დეკანოზი სიმონ ქიქოძე, ცნობილი ქართველი მოღვაწის გაბრიელ ეპისკოპოსის ძმა, რომელიც საღმრთო რჯულს ასწავლიდა. მან წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა ექვთიმე თაყაიშვილზე. სიმონ ქიქოძე ბავშვებს ასწავლიდა ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის ლექსებს. ოზურგეთში სწავლისას დაუახლოვდნენ ერთმანეთს ექვთიმე თაყაიშვილი და ნიკო მარი, მომავალში კი ეს ნაცნობობა დიდ მეგობრობაში გადაიზარდა. შემდეგ ექვთიმე სწავლას ქუთაისის გიმნაზიაში აგრძელებს, რომელიც 1883 წელს დაამთავრა და პეტერბურგის უნივერსიტეტში და ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტზე ჩაირიცხა. 1887 წელს ექვთიმე თაყაიშვილმა უნივერსიტეტი დაამთავრა და საქართველოსკენ გამოსწია.

1887-1894 წლებში მასწავლებლობს თბილისის სათავადაზნაურო სკოლასა და კლასიკურ გიმნაზიაში. ასწავლის ბერძნულ და ლათინურ ენებს, ისტორიასა და გეოგრაფიას. 1894-1904 წლებში სათავადაზნაურო გიმნაზიას განაგებს. ექვთიმე თაყაიშვილი უახლოვდება დიმიტრი ბაქრაძეს, რომელიც იმხანად იღვწოდა საქართველოს ეკლესია-მონასტრებში დაცულ სიძველეთა შეკრება-დამუშავებისა და შეძლებისდაგვარად გამოქვეყნებისთვის.

ჯერ კიდევ პეტერბურგის უნივერსიტეტის უკანასკნელი კურსის სტუდენტი იყო ექვთიმე, როცა იგი დაუსწრებლად აირჩიეს „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ გამგეობის წევრად. საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ იგი მთელი არსებით ებმება საზოგადოების მუშაობაში. მისი ენერგიის წყალობით გროვდება ძვირფასი წიგნები, სიგელ-გუჯრები, სხვადასხვაგვარი სიძველენი.

ექვთიმე თაყაიშვილი იყო წყაროთმცოდნე და არქეოგრაფი, ეპიგრაფიკის მკვლევარი, მთხრელი არქეოლოგი, ქართული მწერლობისა და ხალხური სიტყვიერების, ისტორიული გეოგრაფიისა და სამართლის ისტორიის მკვლევარი. ერთი სიტყვით, იგი იყო ჭეშმარიტი ისტორიკოსი, ამ სიტყვის ფართო გაგებით.

საქართველოს სამეცნიერო-კულტურულ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა 1907 წელს ექვთიმე თაყაიშვილის თაოსნობით დაარსებულმა საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებამ, რომელმაც მიზნად დაისახა საქართველოს ისტორიის, მისი ხალხის ყოფა-ცხოვრების, ხელოვნების ძეგლების შესწავლა. ექვთიმე თაყაიშვილმა საზოგადოების დაარსების უმალ შემოიკრიბა თითქმის მთელი ქართველი ინტელიგენცია (აკაკი წერეთელი, ვაჟა-ფშაველა, ივანე ჯავახიშვილი, ალექსანდრე ცაგარელი, ზაქარია ფალიაშვილი, დიმიტრი არაყიშვილი, იაკობ გოგებაშვილი და მრავალი სხვ.). საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებამ ფართო და ნაყოფიერი მუშაობა გაშალა. მის შექმნას დიდი რეზონანსი ჰქონდა საქართველოს ფარგლებს გარეთაც. ყველა განათლებული ქართველი თავის მოვალეობად თვლიდა საზოგადოების წევრი გამხდარიყო და რაიმე ამაგი დაედო მისთვის. ფართო ხასიათის მრავალმხრივმა სამეცნიერო საქმიანობამ დიდი ავტორიტეტი შეუქმნა საზოგადოებას. შემთხვევითი არ არის, რომ იგი ოფიციალურ დოკუმენტებში მოიხსენიება როგორც „ერთადერთი დაწესებულება, რომელიც სამეცნიერო აკადემიის მიზნებს ახორციელებს“.

ექვთიმე თაყაიშვილმა გამოსცა ორი სერია – „ძველი საქართველო“ და „საქართველოს სიძველენი“. პირველ მათგანში იბეჭდებოდა გამოკვლევები, რეფერატები და სხვა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მასალა, ხოლო მეორეში – სიგელ-გუჯრები, ისტორიული წერილები და სხვა აქტები. „საქართველოს სიძველენის“ პირველი ტომი ექვთიმე თაყაიშვილმა საზოგადოების დაარსებამდე გამოსცა. საზოგადოება დიდ ყურადღებას უთმობდა სამუზეუმო საქმიანობას და სალექსიკონო მუშაობას.

**ექვთიმე თაყაიშვილი ხშირად გამოდიოდა მეცნიერული მოხსენებებით. მის ყოველ ნაშრომში იგრძნობა უდიდესი ერუდიცია, მასალის ღრმა ცოდნა, მეცნიერული კეთილსინდისიერება. მისმა ღრმა მეცნიერულმა და მეტად მნიშვნელოვანი მასალების შემცველმა ნაშრომმა „მასალები კავკასიის არქეოლოგიისათვის“ იმთავითვე მიიპყრო ფართო საზოგადოებრიობის ყურადღება. მას მაღალი შეფასება მისცა რუსეთის საიმპერატორო არქეოლოგიურმა საზოგადოებამ და 1911 წლის 28 მარტს საზოგადოების დიდი მედლით დააჯილდოვა. დიდია ექვთიმე თაყაიშვილის ღვაწლი ქართული უნივერსიტეტის დაარსებაში. იგი ივანე ჯავახიშვილთან ერთად იმთავითვე იყო არჩეული „ქართული უნივერსიტეტის საზოგადოების“ კომისიაში. როგორც ცნობილია, 1918 წლის 26 იანვარს (ძვ. სტილით) უნივერსიტეტი გაიხსნა. ექვთიმე თაყაიშვილი კითხულობდა ლექციებს არქეოლოგიაში. არ შეიძლება არ აღინიშნოს ის დიდი გულისხმიერება, რომლითაც იგი თავის სალექციო მოღვაწეობას ეკიდებოდა. 1918 წლის 21 მაისს თბილისის უნივერსიტეტის საბჭომ ექვთიმე თაყაიშვილს მიანიჭა დოქტორის ხარისხი. თბილისის უნივერსიტეტში მოღვაწეობის წლებში ექვთიმე თაყაიშვილმა იმოგზაურა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში და ბევრი სასარგებლო საქმე გააკეთა.**

მიუხედავად იმისა, რომ ექვთიმე თაყაიშვილს მძიმე ფიზიკური ნაკლი ჰქონდა, მას არ დაუტოვებია საქართველოს არც ერთი კუთხე, ფეხით რომ არ მოევლოს, აქ არსებული ყველა ისტორიული ძეგლი არ აღეწეროს და არ შეესწავლოს. ამიტომ არის ასე ფასდაუდებელი მისი არქეოლოგიური მოგზაურობანი.

წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წესდება ითვალისწინებდა ეკლესია-მონასტრებში დაცული ძველი, საეკლესიო წიგნების შეგროვებას. ექვთიმე თაყაიშვილმაც სწორედ ამით დაიწყო თავისი საქმიანობა. პირველი არქეოლოგიური მოგზაურობა მოეწყო 1889 წლის 17 თე-




ექსპედიციის მონაწილენი მცხეთაში, 1918 წ.




ბერვალს მცხეთაში, სადაც დიმიტრი ბაქრაძემ წაიყვანა. მათი მიზანი იყო ხელნაწერი წიგნების ჩამოტანა. კარგი ხელნაწერები მხოლოდ სვეტიცხოველში უნახავთ და წამოუღიათ. შემდგომში ექვთიმე თაყაიშვილი დამოუკიდებლად იწყებს ფართო შემოქმედებითს საქმიანობას, რომლის ერთგვარი დაგვირგვინება იყო მის მიერ 1890 წელს გამოცემული „სამი ხრონიკა". მას მოჰყვა „წმინდა ნინოს ცხოვრება", რომელიც წინა ნაშრომის გაგრძელებას წარმოადგენდა. ექვთიმეს მუშაობაში ისახებოდა ერთი მთავარი მიზანი: რამდენადაც კი შესაძლებელი იყო, შეეკრიბა მასალა საქართველოს ისტორია-არქეოლოგიისათვის, დაღუპვა-დაკარგვისგან გადაერჩინა ძეგლები და მისაწვდომი გაეხადა მკვლევართათვის. იგი ღრმად იყო დარწმუნებული, რომ ჩვენში გამოჩნდებოდნენ მკვლევარები, რომელთათვის სასარგებლო იქნებოდა მისი ნაღვაწი.

უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ექვთიმე თაყაიშვილის მიერ აღმოჩენილ „ვეფხისტყაოსნის" ძველ ხელნაწერებს. მან თავი მოუყარა 17 ხელნაწერს, რომელთა შორის ზოგი მეტად საყურადღებო იყო როგორც ვარიანტებით, ისე მხატვრობით; საერთოდ კი 24 ხელნაწერის შესახებ მოკრიბა ცნობები. ექვთიმე თაყაიშვილის მიერ თავმოყრილ „ვეფხისტყაოსნის" ხელნაწერთა შორის უძველესი იყო 1646 წლისა, რომელიც საზოგადოებამ ვინმე კორინთელისაგან შეიძინა. საზოგადოების შენაძენთა შორის არის აგრეთვე მეფე გიორგი XI-სათვის 1680 წელს მისი მდივნის ბეგთაბეგის მიერ გადაწერილი „ვეფხისტყაოსანი". ეს ხელნაწერი გამოირჩევა არშიებზე მოხატული სამკაულით.

ექვთიმე თაყაიშვილის დიდი დამსახურებაა პელაგია წერეთლისეული „ვეფხისტყაოსნის" გადარჩენა, რომელიც სიუჟეტური მინიატურებით იყო დასურათებული. ამ ხელნაწერის მოკლე ისტორია ასეთია: ერთ საჩხერელ თავადს ნესტორ წერეთელს ცოლად ჰყავდა გურიელის ქალი პელაგია. ნესტორის გარდაცვალების შემდეგ მისი ქონება (მათ შორის „ვეფხისტყაოსნის" აღნიშნული ხელნაწერი) მის ცოლ-შვილს დარჩა. დედამ შვილებს „ვეფხისტყაოსნის" ხელნაწერი ყდის გასაკეთებლად გაატანა. ამ უკანასკნელთ იგი ეტლში დარჩენოდათ. მეეტლეს ხელნაწერი სამ თუმნად მიუყიდია კომერსანტ დავით სარაჯიშვილისთვის. დავით სარაჯიშვილმა კარგად იცოდა ასეთი ძეგლების ყადრი, ხელნაწერი შეუძენია და განუზრახავს მისი ჩუქება იმხანად თბილისში მყოფ ბარონ დე ბაისათვის. ექვთიმე თაყაიშვილს ეს ხელნაწერი უნახავს, უთხოვია დავით სარაჯიშვილისგან და არ დაუბრუნებია პატრონისთვის მანამ, სანამ ბარონ დე ბაი საქართველოდან არ წასულა. შემდეგში ამ ხელნაწერის მიხედვით ექვთიმე თაყაიშვილმა „ვეფხისტყაოსანი" გამოსცა კიდეც.

ექვთიმე თაყაიშვილი თავგამოდებით იბრძოდა საქართველოს უკვე აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალების ფართოდ გატანისა და ახლის აღმოჩენისათვის. 1917 წლის რევოლუციამდე ექვთიმე თაყაიშვილი ერთადერთი ქართველი არქეოლოგი იყო, გათხრებს რომ აწარმოებდა. იგი პარალელურად პედაგოგიურ და საზოგადოებრივ მუშაობასაც ეწეოდა. დიდ ყურადღებას უთმობდა მიწისზედა ძეგლების აღწერა-შეგროვებას. ექვთიმე თაყაიშვილის გულმოდგინების შედეგი იყო „ხელმწიფის კარის გარიგების" ხელნაწერის აღმოჩენა. ეს ხელნაწერი ექვთიმემ ქართლში მოგზაურობის დროს გაპარტახებულ სახლში იპოვა, ნაგავში. 1920 წლის მაისში თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობამ „ხელმწიფის კარის გარიგება" ე. თაყაიშვილის წინასიტყვაობით გამოსცა. მიუხედავად იმისა, რომ თხზულებამ ჩვენამდე მთლიანად ვერ მოაღწია, მისი მნიშვნელობა მეტად დიდია. „ხელმწიფის კარის გარიგება" ეს არის სხვადასხვა მეფის მიერ დაწესებული სახელმწიფოს მართვა-გამგეობის კანონთა კრებული. აღნიშნულ ძეგლს მეტად დიდი მნიშვნელობა ენიჭება საქართველოს წესწყობილების, სახელმწიფო ყოფა-ცხოვრებისა და შინაგანი ორგანიზაციის შესასწავლად.

**უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ექვთიმე თაყაიშვილის მოგზაურობებს სამხრეთ საქართველოში, ებრეთ წოდებულ „თურქეთის საქართველოში" .**

**პირველი ექსპედიცია მოეწყო 1902 წელს. ახალციხისა და ახალქალაქის ზოგ ძეგლთან ერთად მაშინ მათ გამოიკვლიეს არტაანის ოლქის ძეგლებიც, ოლთისის ოლქის ნაწილი. მეორე ექსპედიცია 1907 წელს მოეწყო. გამოკვლეული იყო არტაანის ოლქის პოლას რაიონის ძეგლები და დამთავრდა ოლთისის ოლქის შესწავლა. მესამე ექსპედიცია 1917 წელს მოეწყო.**

**ექვთიმე თაყაიშვილმა იმოგზაურა და აღწერა: კახეთში – ალავერდი, შუამთა, ბოდბე, თელავი, გრემი, იყალთო, ახმეტა და სხვ.**

**იმერეთში – საჩხერე, ჯრუჭი, კაცხი, ქუთაისი, გელათი და სხვ.**

**სამეგრელოში – მარტვილი, ცაიში, ზუგდიდი, წალენჯიხა, განძა, აგაშა, სუჯუნა და სხვ.**

**რაჭაში – ბლოლა, ჭიორა, ღები, ონი, წესი, მრავალძალი, სხვავა, ბუგეული, ნიკორწმინდა და სხვ.**

**ლეჩხუმ-სვანეთში – ლაგეჭინა, საირმე, ლაჯანა, ორბელი, ლენტეხი, ლაშხეთი, უშგული და სხვ.**

1937 წელს ექვთიმე თაყაიშვილმა პარიზში გამოსცა წიგნი „არქეოლოგიური ექსპედიცია ლეჩხუმ-სვანეთში 1910 წელს". მან ლეჩხუმ-სვანეთის კულტურის ძეგლების აღწერასთან ერთად მნიშვნელოვანი დასკვნებიც გამოიტანა. წიგნში ძირითადად ქრისტიანული დროის კულტურის ძეგლები განიხილა. ავტორის აზრით, ქრისტიანობა სვანებმა ბიზანტიიდან მიიღეს. საქართველოს მეფეები დიდ ყურადღებას აქცევდნენ სვანეთს. იფარის ეკლესია დავით აღმაშენებლის მხატვრის მიერ არის ფრესკებით მოხატული. წინათ ფიქრობდნენ, სიმრავლე ჯვარ-ხატისა და ხელნაწერებისა სვანეთში იმით აიხსნებოდა, რომ აქ ნივთებს მტრის შემოსევებისაგან შესანახად და გადასარჩენად ეზიდებოდნენო. ე. თაყაიშვილმა დაამტკიცა, რომ ცხრა მეათედი ჯვარ-ხატებისა თვით სვანეთშია დამზადებული. ამას ნათლად მოწმობს სვანიზმები წარწერებში. ოქრომჭედლობა სვანეთში დიდად განვითარებული ყოფილა. ე. თაყაიშვილი ხაზგასმით მიუთითებდა სვანეთში არქეოლოგიური გათხრების აუცილებლობაზე და იმედოვნებდა, რომ ეს მხარე უთუოდ მდიდარ მასალას მოგვცემდა. ექვთიმე თაყაიშვილის არქეოლოგიურმა მოგზაურობებმა მეტად დიდი როლი შეასრულა ჩვენი კულტურის ძეგლების აღწერისა და შესწავლის საქმეში.

1921 წელს ახალი ხანა დაიწყო საქართველოში. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების უმალ ყოფილმა მენშევიკურმა მთავრობამ ბათუმს მიაშურა, რათა აქედან ზღვით უცხოეთში გამგზავრებულიყო... ამასთან, განკარგულება გაიცა მთელი სამუზეუმო ქონება ყუთებში ჩაეწყოთ და უცხოეთში გაეტანათ. სამუზეუმო განძის მეთვალყურედ დამფუძნებელმა კრებამ ექვთიმე თაყაიშვილი დანიშნა. მძიმე იყო მეცნიერისათვის სამშობლოს დატოვება, მაგრამ საქართველოს ძვირფასეულობას მეთვალყურე სჭირდებოდა. მას კარგად ესმოდა, რომ, თუ არა დიდი ყურადღება, შეიძლებოდა ქართველი ერის სულიერი და მატერიალური კულტურის ძეგლები სამუდამოდ დაკარგულიყო საქართველოსთვის. 1921 წლის 11 მარტს ექვთიმე თაყაიშვილმა დატოვა საქართველო და იძულებით კარგა ხანს მოუხდა ემიგრაციაში ყოფნა. განძის პატრონად ფორმალურად მენშევიკური მთავრობა ითვლებოდა.

საფრანგეთის მთავრობის სრულუფლებიანმა მინისტრმა და უზენაესმა კომისარმა ამიერკავკასიაში აბელ შევალიემ საქართველოს განძეულობა ფრანგულ კრეისერზე „ერნეს რენანზე" მოათავსებინა. ამასთან იმდენი მოახერხა, რომ ეს კრეისერი დანიშნულ დროზე ადრე გავიდა და ექვთიმე თაყაიშვილი და მისი მეუღლე ნინო, რომელიც მასთან ერთად მიემგზავრებოდა, მას ჩამორჩნენ. ექვთიმე დაქირავებული კატარღით დაედევნა ფრანგულ კრეისერს, რომელიც კონსტანტინეპოლისაკენ მიემართებოდა. კონსტანტინეპოლში განძეულობა სამგზავრო გემ „პიენ ჰოაზე" გადაიტანეს და 20 მარტს მარსელისაკენ გაემართნენ. ორმოცდარვა დღის დამქანცველი მოგზაურობის შემდეგ 1921 წლის 10 აპრილს მარსელში ჩასულან. მას შემდეგ, რაც განძი მარსელის ბანკს ჩააბარა, ექვთიმე თაყაიშვილი მეუღლითურთ პარიზში წავიდა და ერთხანს იქ ცხოვრობდა, შემდეგ კი ლევილში გადავიდა. ექვთიმე თაყაიშვილი მეცნიერულ საქმიანობასაც აგრძელებდა. მისი აღიარება იყო, როცა იგი ჯერ პარიზის ნუმიზმატთა საზოგადოების (1922 წლის 4 თებერვალი), ხოლო შემდეგ სააზიო საზოგადოების (1925 წ.) წევრად აირჩიეს.

განძმა თითქმის 25 წელი დაჰყო საფრანგეთში, აქედან 13 წელი მარსელში, დანარჩენი – პარიზში. მხოლოდ მეორე მსოფლიო ომში საბჭოთა კავშირის მხარეს გამარჯვების სასწორის გადახრამ გახადა შესაძლებელი განძის დაბრუნება. 1944 წლის ნოემბერში ექვთიმე თაყაიშვილი შეხვდა სსრ კავშირის ელჩს საფრანგეთში ალექსანდრე ბოგომოლოვს, რომელსაც გააცნო განძთან დაკავშირებული ვითარება და შემწეობა სთხოვა, თანაც გადასცა ვრცელი მოხსენება გენერალ დე გოლის სახელზე. დე გოლი მოსკოვში ჩასვლისა და ი. სტალინთან შეხვედრის სამზადისში იყო (ეს ვიზიტი 1944 წლის 2-10 დეკემბერს გაიმართა). რა თქმა უნდა, მის ნაბიჯს გარკვეული მნიშვნელობა ექნებოდა მომავალი ვიზიტის წარმატებაზეც. დე გოლს განკარგულება გაუცია საქართველოს საუნჯის დაბრუნების თაობაზე. ამ შთაბეჭდილებითაა დაწერილი ექვთიმე თაყაიშვილის მოგონება: „განძეულობის დაბრუნების საკითხი გადაწყვიტა ამხ. სტალინის უმაგალითო გამარჯვებამ, რის შემდეგ გერმანელებმა მიატოვეს პარიზი და ფრანგებმა სული მოითქვეს. ამ გამარჯვებამ დიდი სახელი გაუთქვა სტალინს საფრანგეთში. ფრანგები მასზე ლოცულობდნენ და ამბობდნენ: „ჩვენ მას ოქროს ძეგლს დავუდგამთო". ჩვენ ვეუბნებოდით, რომ სტალინი ქართველია ტომით, მაგრამ ამას ეჭვის თვალით უყურებდნენ: საქართველო პატარაა და ასეთ პიროვნებას ვერ წარმოშობდაო".

**ექვთიმე თაყაიშვილმა, მიუხედავად მძიმე და რთული ცხოვრებისა, მიუხედავად გაჭირვებისა, ბოლომდე უპატრონა მისთვის მინდობილ საუნჯეს და უკვე ღრმად მოხუცი ამ საგანძურთან ერთად 1945 წლის 11 აპრილს თბილისში დაბრუნდა. მშობლიურ მიწაზე რომ დადგა ფეხი, ოთხმოცდასამი წლის ექვთიმემ ათრთოლებული ხმით დიდი აკაკის სიტყვები წარმოთქვა:**

**„ცა ფირუზ ხმელეთ-ზურმუხტო, ჩემო სამშობლო მხარეო, სნეული დავბრუნებულვარ, მკურნალად შემეყარეო! ..."**

ახლად ჩამოსული ექვთიმე თაყაიშვილი კმაყოფილი იყო ახალი საქართველოს ცხოვრებით, განცვიფრებული იყო ქვეყნის წინსვლით. ექვთიმე თაყაიშვილი ჩამოსვლის პირველი დღეებიდანვე თანამშრომლობდა მეცნიერებათა აკადემიის, უნივერსიტეტისა და სახელმწიფო მუზეუმის სამეცნიერო ორგანოებში, აქვეყნებდა ძვირფას მასალას საქართველოს ისტორიის სხვადასხვა პრობლემაზე; 1945 წლის 10 მაისს არჩეული იყო თბილისის უნივერსიტეტის პროფესორად. 1946 წელს აირჩიეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსად. ექვთიმე თაყაიშვილი ჩამოსვლიდან ერთი წლის შემდეგ საჯაროდ წარდგა თბილისის უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა წინაშე მოხსენებით „ევროპაში ნახული ქართული ძეგლები და იქვე შეკრებილი ცნობები ქართული ძეგლების შესახებ".

**მოხუცებულ, მარტოხელა ექვთიმეს ცხოვრება უმძიმდა, მაგრამ ოპტიმიზმი მაინც არ დაუკარგავს. მიუხედავად ზოგიერთი განზეგ შექმნილი დაგრკოლებისა, რომელიც მას ხვდებოდა, მხცოვანი მეცნიერი სიცოცხლის უკანასკნელ დღეებამდე თავდაუზოგავად მუშაობდა. ექვთიმე თაყაიშვილი თავისი მოწამეებრივი ცხოვრებითა და განსაცვიფრებელი მოღვაწეობით მტკიცედ დამკვიდრდა უკვდავ ქართველ მამულიშვილთა სამარადჟამო პანთეონში.**

...ოთხმოცდაათი წლისა გარდაიცვალა ექვთიმე თაყაიშვილი... თებერვლის ერთ ჟამიან დღეს ორმოციოდე კაცმა გააცილა მისი ცხედარი და თითოეულმა თითო მუჭა მიწა მიაყარა. ორმოციოდე კაცმა...

დღეს დიდი ექვთიმეს დაბადებიდან 160 წელს აღვნიშნავთ. საქართველომ იცის თავისი შვილის, ქვეყნისა და ხალხის წინაშე ვალმოხდილი მამულიშვილის ექვთიმე თაყაიშვილის ფასი. საქართველოს ეკლესიამ იგი წმიდანად შერაცხა და აქედან მოკიდებული „წმიდა ექვთიმე ღმრთისკაცად"» იწოდება.

**როინ მეტრეველი,**
საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის
ვიცე-პრეზიდენტი, აკადემიკოსი

## ზედმეტად მიკერძოებული, თანაც გადამდგარი გენერალი ბენ ჰოჯესი რის ხარჯზე გვამუნათებს?!

# საქართველო ვერასდროს დაიბრუნებს აფხაზეთსა და ცხინვალს, თუ უკრაინა წააგებს!




**„არა მგონია, გამართლება ჰქონდეს გამყოფ ხაზთან ლოდინს, როდესაც შენი მოძმე შავიზღვისპირა ქვეყნის არალეგალურ ოკუპაციას შეჰყურებ და შენს თვალწინ ხალხს ხოცავენ. თანაც იმის გათვალისწინებით, რომ რუსეთის აგრესია უკრაინამდე სწორედ საქართველომ გამოსცადა“, – უთხრა თბილისში ყოფნისას ევროპაში აშშ-ის ძალების ყოფილმა მთავარსარდალმა ბენ ჰოჯესმა „რადიო თავისუფლებას“. საქართველოს ხელისუფლების პოზიციისა და თბილისიდან კიევისადმი საჯარო მხარდაჭერის გამოხატვის მნიშვნელობის გარდა ვაჟა თავბერიძესთან ინტერვიუში ჰოჯესი დეტალურად განიხილავს, რის საფუძველზე წინასწარმეტყველებს უკრაინის მიერ ყირიმის დაბრუნებას და რა უპირატესობას მისცემს ახალი შეიარაღება კიევს.**

**„რადიო თავისუფლება“: მერამდენე კვირაა, ბახმუტი და სოლედარი რუსული არმიის, უფრო სწორად კი, დაჯგუფება „ვაგნერის“ გაშმაგებული იერიშის სამიზნედ იქცნენ – რატომ არის ბახმუტის აღება მათთვის ასე მნიშვნელოვანი? გენერალი სირსკი ამბობს რომ ეს რუსებისთვის მხოლოდ სიმბოლური გამარჯვება იქნებოდა. ჰგავს კი (ევგენი) პრიგოჟინი კაცს, ვისაც სიმბოლიკა ადარდებს?**

**გენერალი ბენ ჰოჯესი:** კარგა ხანს მეც თავს ვიმტვრევდი ამაზე – რატომ ხარჯავდა რუსეთი, განსაკუთრებით კი პრიგოჟინი ამხელა ძალისხმევას ბახმუტზე. ვფიქრობ, ამას აქვს სიმბოლური ასპექტიც – ბახმუტის აღება მისთვის თავმოყვარეობის საკითხად იქცა. 5 თვეა წვალობენ და ბახმუტი ჯერაც ვერ აიღეს, რატომ? ფაქტია, რომ პრიგოჟინს არ ადარდებს, რა რაოდენობის ხალხი დაეხოცება – ის უდრტვინველად აგრძელებს გაუწვრთნელი, ახლად მობილიზებული ჯარისკაცების წინა ხაზზე გაგზავნას. მაგრამ ამასთანავე, თავის როლს თამაშობს მარილისა და თაბაშირის მსხვილი საბადოები ამ რეგიონში – პრიგოჟინმა პირდაპირ მიანიშნა, რომ ეს რესურსები უნდა დაიბევონ. ოღონდ, რაღაც არა მგონია, ამის მოსმენა, რომ მათი შვილები შეეწირნენ არა რაიმე სტრატეგიულად მნიშვნელოვანი პუნქტის მოპოვებას, არამედ იმას, რომ პრიგოჟინს თაბაშირის მაღაროები ჩაევდო ხელში, დიდი შვება იყოს იმ რუსი ჯარისკაცების ოჯახებისთვის, ვინც ბახმუტთან მოკლეს. მთელი ეს ოპერაცია ბახმუტის გარშემო ხაზს უსვამს რუსეთის ოპერაციაში თანამიმდევრულობის დეფიციტს. არ მგონია, რომ პრიგოჟინი სუროვიკინის ბრძანებებს ემორჩილებოდეს, გერასიმოვზე რომ აღარაფერი ვთქვათ. მაშინ ვინ არის „უფროსი“? ფაქტია, რომ თანმიმდევრული გეგმა რუსებს არ აქვთ. საბედნიეროდ, ჯერ კიდევ ვერ გამოასწორეს ის ინსტიტუციური ხარვეზები, რაც თებერვალ-მარტში დიდ თავსატეხად ექცათ.

**– შესაძლოა, რომ ისინი მათთვის ნაცნობ გეგმას მიყვებოდნენ – როდესაც რიცხობრივი უპირატესობა გაქვს და ფიქრობ, რომ ადრე თუ გვიან შედეგს მიაღწევ?**

– რუსები ყოველთვის ფიქრობდნენ, რომ რაოდენობა, მათემატიკა გადამწყვეტია. საუკუნეებია ასე იბრძვიან და ახლაც იმედი აქვთ, რომ სიმრავლე თავისას გაიტანს და საბოლოოდ უკრაინის პოზიციებს გადაუვლიან. მაგრამ ფაქტია, რომ ეს არ გამოსდით – იმიტომ, რომ უკრაინელებმა შესაშური პროფესიონალიზმი და სიმარჯვე გვაჩვენეს. და დღეს ვხედავთ, რომ სიზუსტე ამარცხებს რაოდენობას – თუ საკმარისად ზუსტი ხარ და იცი, რას დაუმიზნო. უკრაინა კი სწორედ ასე იქცევა –სხვადასხვა საშუალებით უმიზნებს ლოჯისტიკას, სატრანსპორტო ქსელებს, აღჭურვილობის საწყობებს.

**– დასავლელი სამხედრო და უსაფრთხოების ექსპერტების ნაწილი თქვენზე ცოტა უფრო სკეპტიკურად უყურებს ამ ყველაფერს. ისინი თვლიან, რომ ეს, რა თქმა უნდა, დადებითი ნაბიჯია, მაგრამ იმისთვის, რომ უკრაინის მასშტაბური და რაც მთავარია, წარმატებული კონტრ-იერიშისთვის მეტი ტერიტორიის დასაბრუნებლად, ეს საკმარისი არ იქნება, ამისთვის აუცილებელია „ნამდვილი ტანკები“ – როგორც მაგალითად Abrams-ები და ა.შ. იზიარებთ თუ არა ამ მიდგომას და თუ კი, უნდა ველოდოთ თუ არა „ნამდვილ ტანკებსაც“?**

– რა თქმა უნდა, უკეთესი იქნებოდა უკრაინელებს Abrams-ები და Leopard-ებიც რომ ჰქონოდათ. საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ ამასაც მიიღებენ. მაგრამ ასევე, მე არ ვივარაუდებდი, რომ ის, რაც გასულ კვირას ვნახეთ, ვაკუუმში ხდება. უკრაინელები ბევრ სხვა რამესაც აკეთებენ რომ თავიანთი საბრძოლო შესაძლებლობები გააძლიერონ კონტრშეტევის შემდგომი ფაზისთვის, რომელიც გადამწყვეტი ფაზა იქნება და ჩემი აზრით, ეს იქნება ყირიმის გათავისუფლება.

**– ყირიმის გათავისუფლებაზე აუცილებლად გკითხავთ, მაგრამ მანამდე „Leopard“-ებზე ჩაგეკითხებით. როგორც ჩანს, ყინული დაიძრა – პოლონეთი და ფინეთი მზად არიან, უკრაინას „Leopard“-ები მიაწოდონ და ეს, შესაძლოა, ერთგვარი მწვანე შუქი გამოდგეს გერმანიისთვისაც. ბრიტანეთში საუბრობენ Challenger2 ტიპის ტანკების გადაცემაზეც. რამდენად გარდამტეხი შეიძლება გამოდგეს ეს ნაბიჯი, თუ უკრაინა მართლაც მიიღებს ამ ტანკებს? არის თუ არა ეს ის შეიარაღება, რამაც შეიძლება ომის ბედი შეცვალოს?**

– თუ ვივარაუდებთ, რომ ტანკები შესაბამისი საბრძოლო მასალითა და წვრთნისა და მოვლა-პატრონობის შესაძლებლობით გადაეცემათ, მაშინ ეს მართლაც მნიშვნელოვანია. კიდევ უფრო მნიშვნელოვანია ის სიგნალი, რომ დასავლეთის მთავრობები მზად არიან შემდეგი ნაბიჯის გადასადგმელად, მათ სულ უფრო და უფრო ნაკლებად აღელვებთ ის, თუ რას მოიმოქმედებს რუსეთი საპასუხოდ, წავა თუ არა ის მეტ ესკალაციაზე. და მიუხედავად იმისა, რომ ეს გადაწყვეტილებები უფრო ადრე უნდა მიგვეღო, ვფიქრობ, არც ახლაა გვიან – ეს ყველაფერი თავის როლს ითამაშებს. იმის ფონზე, რომ რუსეთი ირანისგან იღებს დრონებს და ჩრდილოეთ კორეისგან კი ზამთრის უნიფორმებს, უკრაინას დაახლოებით 50 ერი უდგას მხარში. გავაკეთეთ კი ყველაფერი ისე სწრაფად, როგორც საჭირო იყო? არა. საკმარისი გავაკეთეთ უკრაინის დასახმარებლად? ისევ არა. კიდევ მეტს მივცემთ, მეტით დავეხმარებით? ვიმედოვნებ, რომ კი. მაგრამ თუ დღეს კრემლში ზიხარ და ამ ვითარებას შეჰყურებ – რომ გერმანია უკრაინას Marder-ებს აძლევს, აძლევს კიდევ ერთ Patriot-ს და თანაც განიხილავენ Leopard-ების გადაცემის საკითხს, ვფიქრობ, შენთვის, კრემლისთვის საიმედოს ბევრს ვერაფერს დაინახავ.

**– რაც შეეხება ყირიმის გათავისუფლებას – თქვენ თქვით, რომ უკრაინამ შესაძლოა ყირიმის დაბრუნება აგვისტომდე მოახერხოს. ეს ცხადია, მუსიკად ჩაესმით უკრაინელებს და ბევრს დასავლეთში, მაგრამ თქვენი წინა პროგნოზიც მინდა გავიხსენო, როდესაც თქვით რომ უკრაინა სავარაუდოდ შეძლებდა რუსეთის უკუგდებას 23 თებერვლის დროინდელ დაპირისპირების ხაზებამდე 2022 წლის ბოლომდე. რატომ არ მოხდა ასე?**

– ცხადია, აღმოჩნდა, რომ ზედმეტად ოპტიმისტურად ვიყავი განწყობილი. არ ველოდი, რომ უკრაინას არ მივცემდით უფრო შორ მანძილზე მსროლელ სისტემებს, როგორიცაა ATACMS. მეგონა, რომ მივცემდით. ასევე არ მოველოდი, რომ რუსეთი მზად იყო ამდენი ცოცხალი ძალის გასაწირად მარტის პერიოდში. დიახ, ცხადია, მე შევცდი, ძალიანაც არა, მაგრამ შევცდი. ახლა უფრო მნიშვნელოვანია ის, რომ უკრაინამ მოახერხოს ადაპტირება და გაუმკლავდეს რუსეთის მიერ ახლად მობილიზებულ ძალების შემომატებას ფრონტზე. ასევე, მიაწოდებს თუ არა დასავლეთი უკრაინას იმ შეარაღებას, რაც მას სჭირდება, რათა განაგრძოს რუსული ლოჯისტიკისა და დაგეგმვის პუნქტებზე შეტევები. რაც შეეხება იმას, თუ როგორ შეძლებენ ისინი ყირიმის გათავისუფლებას – ყირიმისკენ მიმავალი მხოლოდ ორი გზა არსებობს: ერთია რუსეთის მიერ აგებული ყირიმის ხიდი, მეორე კი სახმელეთო დერეფანი მარიუპოლისა და მელიტოპოლის გავლით. პირველი მათგანი უკვე დაზიანებულია, რამდენჯერმე მოარტყეს უკრაინელებმა – და სწორედ ეს უნდა ვნახოთ შემდეგი რამდენიმე თვის განმავლობაში – მეტი დარტყმები ამ სატრანსპორტო, მომარაგების ხაზებზე. ამისთვის საჭიროა უკრაინა მოვამარაგოთ უფრო შორსმსროლელი სისტემებით – თუ მანძილს შევუზღუდავთ, თუ ეს იქნება 90 კმ დიაპაზონზე მოქმედი GMLRS რაკეტები HIMARS-ებისთვის, თუ ამ მანძილს არ გავზრდით, მაშინ გამოვა, რომ რუსებს ჩვენ თვითონვე შევუქმენით უსაფრთხო თავშესაფარი, საიდანაც დაუსჯელად შეუძლიათ დაბომბონ უკრაინა. ამიტომ უნდა მივცეთ მათ უფრო შორსმსროლელი შეიარაღება და ATACMS-ები, უკრაინას უნდა შეეძლოს ნებისმიერი სამხედრო ობიექტი ამოიღოს მიზანში ყირიმის ნახევარკუნძულზე. მოკლედ, საკმაოდ დიდი სამუშაოა გასაწევი იერიშისთვის საჭირო პირობების შესაქმნელად. მაგრამ ვფიქრობ, სწორედ ასე განვითარდება მოვლენები – ეს არ იქნება ერთი დიდი, მასირებული შეტევა პერეკოპის ისთმუსის გასწვრივ. მათ მოუწევთ იერიშისთვის საჭირო პირობების უზრუნველყოფა შორ მანძილის ცეცხლისა და სპეცრაზმის საშუალებით და საბოლოოდ, მათ მოუწევთ დანაყოფების იერიშზე გაგზავნა არჩეულ წერტილებში. მაგრამ მე ვფიქრობ, რომ უკრაინის გენერალური შტაბი საკმაოდ გამჭრიახია. მათ ჩემზე შთაბეჭდილება მოახდინეს იმით, თუ რამდენად კარგად გააკეთეს ყველაფერი, რათა მსხვერპლი მინიმუმამდე დაეყვანათ– რუსებისგან განსხვავებით ისინი თანმიმდევრულად, მეთოდურად უდგებიან საქმეს.

**– სწორი იქნება, თუ ვიტყვი, რომ იმისთვის, რომ თქვენი ეს პროგნოზიც ზედმეტად ოპტიმისტური არ გამოდგეს, აუცილებელია დასავლეთმა სათანადო შეიარაღება მიაწოდოს უკრაინას?**

– აბსოლუტურად. ეს არის ყველაზე დიდი, მსხვილი დათქმა, რომ დასავლეთმა უნდა განაგრძოს უკრაინის მხარდაჭერა, სულ მცირე იმ დაპირებების დონეზე, რაც გაცემული აქვთ.

**– საქართველოზეც უნდა გკითხოთ. საინტერესო მეტაფორა გამოიყენეთ სიტყვით გამოსვლისას – თქვით, რომ საქართველო ხელბორკილით მიეჯაჭვა რუსეთს. მე მსმენია ამ ვითარების შედარებით უფრო ლმობიერი შეფასებაც: რომ საქართველო ე.წ. „ლოდინის თამაშს“ თამაშობს. ამიტომ მინდა გკითხოთ – საერთოდ ვერანაირ არგუმენტს ვერ ხედავთ ამ სტრატეგიული ლოდინის სასარგებლოდ?**

– არა მგონია, გამართლება ჰქონდეს გამყოფ ხაზთან ლოდინს, როდესაც შენი მოძმე შავიზღვისპირა ქვეყნის არალეგალურ ოკუპაციას შეჰყურებ და შენს თვალწინ ხალხს ხოცავენ. თანაც იმის გათვალისწინებით, რომ რუსეთის აგრესია უკრაინამდე სწორედ საქართველომ გამოსცადა. საქართველო ვერასდროს დაიბრუნებს აფხაზეთსა და ცხინვალს, თუ უკრაინა წააგებს – თუ რუსეთი გაიმარჯვებს და ვთქვათ, ყირიმი რუსეთს დარჩება, ეს იმას ნიშნავს, რომ მათ დაამტკიცეს: სუვერენიტეტი აღარავის ადარდებს, რომ მზად არა ვართ, საკმარისი გავაკეთოთ იმისთვის, რომ დავიცვათ გაეროს ქარტია, რომელიც მოგვიწოდებს, პატივი ვცეთ საერთაშორისო საზღვრებს. ამ შემთხვევაში, შეგიძლიათ სამუდამოდ გამოემშვიდობოთ აფხაზეთს. ასე რომ, ვგონებ საქართველოს ინტერესებშია ის, რომ უკრაინა წარმატებული იყოს, რუსეთი კი დამარცხდეს. ეს არ ნიშნავს, რომ საქართველომ უკრაინაში ჯარი უნდა გააგზავნოს – საუბარია საჯარო მხარდაჭერაზე, გვერდში დადგომაზე, რუსეთის აგრესიის დაგმობაზე. ისეთი არაფერი გააკეთოთ, რაც თუნდაც იოტისოდენა ლეგიტიმურობას შესძენს რუსეთის ქმედებებს – აი, რას მოელიან საქართველოსგან. არ ვიცი, რანაირად აპირებს საქართველოს მთავრობა საკუთარ ხალხს თვალი გაუსწოროს და აუხსნას, რატომ დგანან განზე. და როდესაც უკრაინა გაიმ-

არჯვებს, ყველა დაფიქრდება იმაზე, თუ როგორი უნდა იყოს უსაფრთხოების ახალი არქიტექტურა, ვინ ვისთან დგას, ვინ ვის დაეხმარება ნატოში შესვლაში, რაც, იმედი მაქვს, საქართველოსაც გამოუვა და უკრაინასაც. „მეგობარი გასაჭირში იცნობა“ – როგორც უკრაინა ცდილობდა საქართველოს დახმარებას 2008 წელს, ასევე, დღეს საქართველოს მიერ უკრაინის დახმარება მომავალში ჩადებული ინვესტიციაა, იმ მომავალში, რომელიც ამ კონფლიქტის მერე იქნება.

რაც შეეხება რუსეთს – რუსეთი თავს არ დაესხმება საქართველოს – უფრო სწორად, ვერ დაესხმება, რადგან აღარაფერი გააჩნია იმისთვის, რომ მეორე ქვეყანას დაესხას თავს. საქართველო კი ამასობაში მაქსიმალურად უნდა ცდილობდეს, პოტენციურად „მოუნელებელი“ გახდეს აგრესორებისთვის, რომ მზად იყოს თავდასაცავად. რეალური საფრთხე, რომელიც დღეს რუსეთიდან მოდის – ეს სამხედრო საფრთხე არაა. ესაა სცენარი, სადაც რუსეთი იპყრობს არა ქვეყანას, არამედ მის ინსტიტუციებს. სცენარი, სადაც ხალხს ერთმანეთის აღარ სჯერა, მაგრამ სჯერათ რუსული პროპაგანდისა და მისი ყალბი ნარატივების. რამდენ ქართველს შეუძლია დღეს თქვას, რომ რუსეთის წყალობით მისი ცხოვრება უკეთესი გახდა? დასავლეთთან, დასავლურ ინტეგრაციასთან შედარებით? ვინ იხეირებს იმით, რომ საქართველო დასავლეთს ჩამოშორდება? რა თქმა უნდა, არავინ, რუსეთის გარდა.

**– საქმე გამიადვილეთ, როდესაც თქვით, რომ რუსეთი საქართველოს თავს არ დაესხმება, რადგან ალბათ სწორედ ეს იქნებოდა ერთ-ერთი პირველ კონტრ-არგუმენტი საქართველოს მთავრობის მხრიდან. ამიტომ მოდით, უფრო დეტალურად განვიხილოთ ორი სცენარი – გპირდებით, ეს ბოლო კითხვაა და ამის შემდეგ დაგეხსნებით – ორი სცენარი: უკრაინის გამარჯვება და რუსეთის გამარჯვება. რა მოაქვთ მათ საქართველოსთვის?**

– რუსეთის გამარჯვება იმის გარანტიაა, რომ საქართველოს სუვერენიტეტს აღარასოდეს სცემენ პატივს. ამის შემდეგ კი რუსეთი შეეცდება, მაქსიმალურად მოუსპოს საქართველოს ეკონომიკური განვითარების შანსები. განა რა განავითარა რუსეთმა საქართველოში? მე ვერ ვხედავ ვერანაირ ნათელ წერტილს ჰორიზონტზე საქართველოსთვის და ქართველი ხალხისთვის ამ სცენარში. თუ რუსეთი როგორმე გაიმარჯვებს, თუ მას დონბასი და ყირიმი შერჩება, შემდეგ, როგორც ალბათ ყველა ქართველისთვის ცხადია, ისინი ამით არ დაკმაყოფილდებიან, არ გაჩერდებიან – უბრალოდ დაელოდებიან, როდის გაუქრება დასავლეთს ინტერესი და შემდეგ გააგრძელებენ, სწორედ ისე, როგორც მოიქცნენ საქართველოში შემოჭრის შემდეგ...

თუ უკრაინა გაიმარჯვებს, და რუსეთს ყირიმის დაცლა მოუწევს, შეიქმნება სიტუაცია, სადაც განუზომლად დიდი იქნება დასავლური ეკონომიკური ინვესტიციების პოტენციალი. ინვესტორებს უკვე აღარ შეეშინდებათ, გაქრება წუხილი უსაფრთხოებისა და არასტაბილურობის კუთხით. ეს იქნება ასევე გამარჯვება საერთაშორისო სამართლისთვის, ადამიანის უფლებებისთვის, სუვერენიტეტის და ასე შემდეგ. ეს კი ნიშნავს ახალგაზრდა ქართველებისთვის მეტ კეთილდღეობას.

ესაუბრა
**ვაჟა თავბერიძე**

# ბედნიერების ათი მუღამი



**ბედნიერება ცხოვრების ერთ-ერთი უდიდესი ძღვენია და ის ყველასთვის ხელმისაწვდომია. გესმით, ბედნიერებას არ პოულობენ, მას ქმნიან. და ვითარებისაგან დამოუკიდებლად, ყველას შეუძლია შექმნას თავისი საკუთარი ბედნიერება. ბრძანებს ადამ ჯეკსონი. ამ სიტყვების სრულ ჭეშმარიტებაში დარწმუნდები როცა გაეცნობით ბატონ ნიკოლოზ (კოლია) კურტანიძის ავტობიოგრაფიულ რომანს ოთხ წიგნად – „გზა ცხოვრებისა ღვთისაგან კურთხეული“.**

წინათქმაში ბატონი კოლია გვამცნობს, „რაოდენ სასიამოვნო იქნებოდა, მათ რომ დაეწერათ და დაეტოვებინათ ჩვენთვის თავისი ფიქრები. აღეწერათ ახლობელი ადამიანები რით ცხოვრობდნენ, რა აინტერესებდათ, როგორი მსოფლმხედველობა ჰქონდათ. შეიძლება ჩვენ, შემდეგ თაობას, მაგალითადაც გამოგვდგომოდა“. ეს დედის ძმების, ომში დაკარგული გიორგი და ნესტორ სოფრომაძეების მიმართ გამოთქმული მოსაზრება, ნათელ სვეტად გასდევს კოლიას მიერ 75 წლის მანძილზე გაწეული თითქმის ჭაპანის წყვეტამდე მისული მისი საქმიანობის ავ-კარგს.

სათაურად მოტანილი ადამ ჯეკსონის ბედნიერების „ათი მუღამი“, რა თქმა უნდა მას ცხადია ბავშობაში არ ექნებოდა წაკითხული, მაგრამ მისი შესრულება, რომ პირნათლად შეძლო, შეიძლება გვერდზე გადავდოთ ის და მივყვეთ კოლიასეული მუღამის – არ შეუშინდე სიძნელეებს და მხნედ იარე ცხოვრების აღმართების დასაძლევად, ნამდვილად გამოადგება მომავალ თაობებს.

რა სასახლეც უნდა აშენო – ...„ბავშვობის სახლი... ის სიყვარული ვერ წაშალა სხვა უფრო ლამაზმა ოთახებმა და სახლებმა“.

ბატონი კოლია საოცარი სიყვარულითა და სითბოთი კი არ იხსენებს, არამედ თავის გვერდით ეგულების, მშობლები, დედმამიშვილები, ნათესავები, ახლობლები, მეზობლები და ამხანაგები, მხნედ დააბიჯებს მშობლიური საირხის ტალახიან ორღობეებში, სკოლაში მიმავალი თუ სამწყემსურში მყოფი.

„ჩვენ წინაშე ძლიერი და თავისუფალი ადამიანია. მან შეძლო და ფართოდ გაგვიღო თავისი ცხოვრების კარი“. გვამცნობს სარეცენზიო წერილში ქალბატონი მაკა ქემაშვილი, რა თქმა უნდა, ვეთანხმები მას, მაგრამ აქვე დავამატებ, რომ მან ადამიანებს მოგვცა რჩევა წინაპართა ხსოვნის აუცილებლობისა და შენს მიერ განვლილი გზის მომავალი თაობისათვის გადაცემისა, რამეთუ ხშირად შემხვედრია ადამიანი, რომელმაც ბაბუის იქით წინაპრის შესახებ ძალიან ცოტა რამ იცის, ბატონი კოლიას მიერ თავისი გვარის და არა მარტო თავისი გვარის, არამედ ჩვენი წინაპართა ხოტბა სხვა არაფერია, თუ არა მომავალი თაობისათვის სამომავლო გზის დასახვა, ამის მკაფიო მაგალითია ოთხივე ტომში მოქცეული ფოტო მასალა, ფაქტიურად გენეოლოგიის სრული წარმოჩინების ფაქტი; მოგონებებზე და მის პოეტურ სამყაროზე ამჯერად ვიდრე ოთხტომეულს სრულყოფილად არ გავაანალიზებ, ვერ შევკადრებ აჩქარებულ შეფასებას, მაგრამ აქვე დავსძენ, რომ ბატონ კოლიას შემოქმედებას კარგა ხანია ვიცნობ და შემიძლია მტკიცედ განვაცხადო, იგი სამშობლოს ხვალინდელი დღის შენების არა მარტო მონაწილეა, არამედ თავდადებული მშენებელი...

არ შეიძლება არ დავეთანხმო ოთხტომეულის რედაქტორს, რუსთაველის პრემიის ლაურეატს, საჩხერისა და საჩხერლების დიდად მოყვარულ ჩემს მეგობარს, ბატონ რევაზ მიშველაძეს – „ნიკოლოზ კურტანიძის ცხოვრების გზა მაგალითად გამოადგება იმასაც, ვინც გარემოებათა გამო, სხვადასხვა დროს შეფერხდა, შეჭოჭმანდა და ფარ-ხმლის დაყრის გუნებაზე დადგა. ნუ დაეცემი, ყველა დიდი განსაცდელის ჟამსაც კი წელში უნდა გაიმართო და რწმენით აღიჭურვო, რათა მხნედ შეხვდე გრიგალივით მოვარდნილ სატკივარს! აი, რას გვასწავლის ნიკოლოზ კურტანიძის ახალი წიგნები“.

ბატონი ნიკოლოზი თავისი უშუალობით, ბავშობით, განვლილი ცხოვრებითა და ლამაზი მოგონებებით მისაბაძი ადამიანია უპირველეს ყოვლისა და შემდგომ ამისა ქართული სიტყვის უდაოდ ჭეშმარიტი მფლობელი.

**„ბავშვი ჩქარობს გაიზარდოს,**
**ჩქარა გახდეს დიდი**
**არც ადარდებს და არც ითვლის,**
**წლები როგორ მიდის.**
**მოხუცი კი წლებს გასცქერის და**
**ბავშვობას ნატრობს,**
**ყოველი წლის მობრძანებას თითზე**
**ითვლის, დარდობს.**
**ერთი კაცის სიცოცხლე გავს, წვეთი წყლის**
**სიცოცხლეს,**
**თუ ამხანაგს არ მონახავს,**
**აორთქლდება იცოდეთ.**
**წვეთი, წვეთს რომ უერთდება,**
**ორი წვეთი, ორ წვეთს,**
**გამოუონავს უეჭველად, ქარაფებზე**
**მოსჩქეფს.**
**იკრიბება ხევში ერთად ნადენი და**
**ნაჟური**
**მილიონი სიცოცხლის და სიყვარული**
**ალმური“.**

ოთხტომეულის მიმართ ჩემი გამოთქმული მოკრძალებული შეფასება ის წვეთია, რომელსაც მომავალში მრავალი წვეთი შეემატება და უკვდავყოფს გულმართალი კაცის ბატონ ნიკოლოზ კურტანიძის შემოქმედებას.



**ცეზარ ლაშხი,**
**აკაკი წერეთლის სახელმწიფო მუზეუმის დირექტორი.**

# ცისფერყანწელთა ნაკვალევზე



## საჩხერეში პაოლო იაშვილის განახლებული სახლ-მუზეუმი გაიხსნა

**ღონისძიებას საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრი თეა წულუკიანი, სახელმწიფოს რწმუნებული იმერეთის მხარეში ზვიად შალამბერიძე, საჩხერის მუნიციპალიტეტის მერი ლევან ივანაშვილი, მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები და პაოლო იაშვილის შთამომავლები ესწრებოდნენ. მინისტრმა პოეტის შთამომავლებს და ადგილობრივ მოსახლეობას პაოლო იაშვილის მშობლიური სახლის გაცოცხლება მიულოცა და აღნიშნა, რომ ამიერიდან სამინისტროს, ეროვნული მუზეუმისა და მუნიციპალიტეტის ძალისხმევით გახსნილ სახლ-მუზეუმში დამთვალიერებელი პოეტის ცხოვრებასა და მოღვაწეობას გაეცნობა. თეა წულუკიანმა იმედი გამოხატა, რომ უახლოეს ხანებში სახლ-მუზეუმი ისევ იქცევა კერად, რომელიც ქართველ მწერლებს და არამხოლოდ მათ უმასპინძლებს.**

სამუშაო ჯგუფმა პირველ ეტაპზე შექმნა სამუზეუმო კონცეფცია, კერძოდ, სახლ-მუზეუმის ხუთი ოთახი დაიყო თემატურ სივრცეებად: პოეტის ბავშვობა და ოჯახი, ქუთაისის პერიოდი, მულტიმედიური სივრცე, ცისფერყანწელების დარბაზი და პაოლოს ოთახი. შეგროვდა და დამუშავდა საარქივო და ფოტომასალა, მოგროვდა შესაბამისი ეპოქის ავეჯი და რელიკვიური ნივთები. რესტავრირდა ოჯახის ავეჯი, დამონტაჟდა საინფორმაციო სტენდები და ვიდეორგოლები. მნიშვნელოვანია, რომ ექსპოზიციის შექმნისას მაქსიმალურად შენარჩუნდა მამაპაპისეული სახლის ავთენტური სახე. სამუშაოებში საქართველოს ეროვნულ მუზეუმთან ერთად აქტიურად მონაწილეობდა საჩხერის მუნიციპალიტეტი, ადგილობრივი მოსახლეობა და პოეტის ოჯახი.

პაოლო იაშვილის მშობლიური სახლის სახლ-მუზეუმად და კულტურის კერად გადაქცევის მიზნით მუშაობა 2022 წლის აპრილში სწორედ კულტურის სამინისტროს ინიციატივით პოეტის შთამომავლებთან შეხვედრის შედეგად დაიწყო. საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრი თეა წულუკიანი პოეტის სახლ-მუზეუმს ესტუმრა და თავად აცნობა მის ოჯახსა და შთამომავლებს, რომ პაოლო იაშვილის 130 წლის იუბილესთან დაკავშირებით სამინისტრო სახლ-მუზეუმის კონცეფციის შექმნასა და კონცეფციის განხორციელებას დააფინანსებდა.

გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ 2022 წელს, სამინისტროს ხელშეწყობითა და ფონდის - „ცისფერყანწელთა ხსოვნისათვის“ – ორგანიზებით პაოლო იაშვილის საიუბილეო თარიღის აღსანიშნავად განხორციელდა პროექტი „პაოლო იაშვილი – „ელენე დარიანის დღიურები“. კრებულის გამოცემით, დარგის სპეციალისტთა პროფესიონალური და კომპეტენტური ანალიზისა და დასკვნების საფუძველზე, განხორციელდა მეოცე საუკუნის ქართული მწერლობის უმნიშვნელოვანესი წარმომადგენლის, ქართული სიმბოლისტური სკოლის ერთ-ერთი ფუძემდებლის, პოეტის, ლიტერატურის კრიტიკოსის, პროზაიკოსის, მთარგმნელის, „ქართველი ევროპეისტის“ - პაოლო იაშვილის ლიტერატურული მემკვიდრეობის იდენტიფიკაცია და კიდევ ერთხელ შეფასდა ქართულ მწერლობაში მანამდე უპრეცედენტო მოვლენა – ლიტერატურული მისტიფიკაცია „ელენე დარიანის დღიურები“. მოცემული პროექტი სამინისტრომ მას შემდეგ განახორციელა, რაც გამოიკვეთა ტენდენცია პაოლოს შემოქმედების საზოგადოებისათვის არასწორად მიწოდების მიზნით. პროექტის პრეზენტაცია მიმდინარე წლის თებერვალში გაიმართება.



ცეცხლის ხაზზე




# სლოვენიის „დიდი პრიზი“ ჩვენია!

**მარიამ ფროდიაშვილისა და ცოტნე მაჭავარიანის დუეტმა სლოვენიის „დიდ პრიზზე“ გამარჯვება მოიპოვა. ქართულმა დუეტმა ტურნირის ფინალში ელმირა კარაპეტიანისა და ბენიკ ხლგატიანის წყვილი 16:14 დაამარცხა.**

სროლის ფედერაციის ინფორმაციით, ფროდიაშვილმა და მაჭავარიანმა 575 ქულით ბულგარეთის ქალაქ რუსეში მიმდინარე ტურნირის საკვალიფიკაციო ეტაპიც მოიგეს და ოქროს მედლისთვის ბრძოლის უფლებაც მოიპოვეს.

574 ქულა დააგროვეს სომხებმა და კორეელებმა, თუმცა მეორე ადგილი ჩვენს მეზობლებს ერგოთ. რაც შეეხება ბრინჯაოს მედლებისთვის ბრძოლას, ეს პოზიცია ჩეხებმა და ბრიტანელებმა დაისაკუთრეს.

საკვალიფიკაციო ეტაპზე მეორე ქართული დუეტიც გამოდიოდა – ლიზი კილაძე და აკაკი მოსულიშვილი. მათ ჯამური 566 ქულა დააგროვეს, 16 გუნდს შორის მე-10 ადგილი დაიკავეს და პლეი ოფში ვერ გავიდნენ.

დღეს გუნდური შეჯიბრებაა, ჩვენები კი ორივეგან გამოვლენ – ქალებშიც და ვაჟებშიც. ამის შემდეგ მსროლელები სლოვენიიდან ხორვატეთში გადაინაცვლებენ, სადაც 17-21 იანვარს ოსიეკში იასპარეზებენ მორიგ „დიდ პრიზზე“.

სეზონის სტარტზე

# ვერცხლი ირმასია

**ვაშინგტონში მიმდინარე მსოფლიოს თასის გათამაშებაში ქართველმა ეტლით მოფარიკავემ ირმა ხეცურიანმა ვერცხლის მედალი მოიპოვა.**




ხეცურიანმა რაპირით ასპარეზობისას ინგლისელ ჯასტინ მურს 15:3 აჯობა, ნახევარფინალში კი ფრანგი სოფი საბლონი ანგარიშით 15:4 დაამარცხა. გადამწყვეტ შეხვედრაში ქართველმა ტაილანდელ საისუნ იანასთან 15:10 წააგო, მეორე ადგილზე გავიდა და შესაბამისად ვერცხლის მედალს დაეუფლა.

რაპირით ფარიკაობის შემდეგ ქართველი პარამოფარიკავეები ძალებს ხმლით ფარიკაობაში მოსინჯავენ და მედლებისთვის დღეს ირმა ხეცურიანი, ნინა თიბილაშვილი და გვანცა ზადიშვილი იბრძოლებენ.

სერია – ა

# ქვარას კუჩხი



**მუნდიალის შემდეგ განახლებულ სერია – ა-ში მთელი სერიოზულობით დაისვა კითხვა – ხომ არ ამოწურა შესაძლებლობები საჩემპიონო რბოლის ლიდერმა ნაპოლიმ, რადგან ლუჩანო სპალეტის გაწვრთნილმა გუნდმა ჯერ სკუდეტოსთვის ბრძოლაში იწვნია პირველი მარცხი მილანის ინტერისგან, ხოლო შემდეგ უფერული გამარჯვება მოიპოვა გენუის სამპდორიასთან.**

როგორც ტურინის იუვენტუსთან მარადონას სტადიონზე გამართულმა პრინციპულმა დუელმა დაადასტურა, საგანგაშო არაფერია და მარათონული სეზონის განმავლობაში ჩავარდნა ყველას შეიძლება დაემართოს.

სტუმრები ლიდერს ზედიზედ 8(!) მშრალი მოგებითა და ერთ-ერთი უახლოესი მდევრის სტატუსით ეწვივნენ, თუმცა მასიმილიანო ალეგრის საფიქრალს მთელ რიგ წამყვან მოთამაშეთა ტრავმები უჩენდა. ჩვენთვის საყურადღებო გახლდათ მარჯვენაფლანგელ კუადრადოს არყოფნა, რომელსაც ხვიჩა კვარაცხელიას მეურვეობა უნდა დაკისრებოდა.

ძნელი სათქმელია, როგორ გაართმევდა იგი თავს სავარაუდო დავალების შესრულებას, მაგრამ ფაქტი ისაა, რომ ოსიმენთან პარტნიორობით ჩვენმა თანამემამულემ მრისხანე მეტოქისგან ქვა ქვაზე არ დატოვა – 5:1. ისიც სათქმელია, რომ ზებერმა ქალბატონმა იტალიის ჩემპიონატში 5 ბურთი უკანასკნელად 30 წლის წინათ – უკვე შორეულ 1993-ში პესკარასგან გაუშვა და მაშინაც 1:5 შერცხვა.

რაც შეეხება მასპინძელთა ახალი კერპის პირად მონაგარს, მან ერთი ბურთი თვითონ გაიტანა, ხოლო სამ გოლში უშუალო მონაწილეობა მიიღო. და რაც მთავარია – მთელ რიგ ეპიზოდებში ის კვარა გაგვახსენა, ტრავმის მიღებამდე რომ მოინადირა ტიფოზების გულები თავისუფალ სივრცეებში ნავარდითა და ზუსტი გადაცემებითა თუ თანაკლუბელთა იერიშების გამწვავებით.

ამავე ტურში მილანის შეფერხებამაც გაგვახარა ლეჩესთან – 2:2, რამაც ნაპოლის სატურნირო ცხრილში 9-ქულიანი უპირატესობა მოუტანა, ხოლო ლუკა ლოჩოშვილის არყოფნაში კრემონეზემ შინ მონცასთან წააგო – 2:3.

ნავსიანი მეასე

# მარცხი ელანძია

**მართლაც რომ მუხანათი რამაა წუთისოფელი. თავად განსაჯეთ:**



გემახსოვრებათ, რომ ჩვენმა სახელოვანმა ჩოგბურთელმა – ალექსანდრე მეტრეველმა ცხოვრების უმთავრესი შეხვედრა – უიმბლდონის ფინალი იმ ჩეხ იან კოდეშთან წააგო, რომელსაც საამაყო კარიერის განმავლობაში თითქმის სულ უგებდა. იგივე შეიძლება ითქვას ტატამის დიდოსტატ თემურ ხუბულურზე, ვინც მოსკოვის ოლიმპიადის სატიტულო ბრძოლა ბელგიელ რობერ ვან დე ვალესთან დათმო. და აი, კიდევ ერთი საინფარქტო მაგალითი.

საუბარია დასავლეთის მე-11 მაეგაშირა ლევან გორგაძეზე, რომელსაც ბედმა მე-100(!) ბაშოზე უმუხთლა, რომელსაც სუმოს მექა რიოკოგუ კოკუგიკანი მასპინძლობს (მისი ტევადობაა 11 ათასი მაყურებელი).

აქამდე იმპერატორის თასის 2018წლის მფლობელ ერთადერთ 35 წლის ქართველს დოჰიოზე 1263 ბრძოლა ჰქონდა გადატანილი. მან დადებითი ბალანსით დაიწყო სეზონის ექვსიდან პირველი – ჰაცუ ბაშო (2 გამარჯვება 3-დან), ამიტომ ვიმედოვნებდით, რომ ძურიოში დაქვეითებას გადაურჩებოდა, მაგრამ კოტოშოჰოსთან მეოთხე დღეს წაგებულ დაპირისპირებაში მკლავის მძიმე ტრავმა მიიღო და ბაშოს ჩაეხსნა. არადა, აქამდე მასთან ხუთივე ბრძოლა მოგებული ჰქონდა.

ლეგიონერი

# გიორგი შერმადინის 21 ქულა

**ესპანეთის საკალათბურთო ჩემპიონატში მორიგი მატჩი ჩაატარა გიორგი შერმადინმა, რომელმაც „სარაგოსას“ წინააღმდეგ 27წუთში 21 ქულა ჩააგდო.გიორგიმ ლიგა ენდესას მე-16 ტურის მატჩში შესანიშნავად ითამაშა. იგი განსაკუთრებით გამორჩეული ოვერტაიმში იყო. მთლიანობაში ქართველმა 8-დან 5 სროლა გამოიყენა, 12-დან 11 საჯარიმო და 21 ქულასთან ერთად 4 მოხსნა და 4 შედეგიანი გადაცემაც დააგროვა. შერმადინის მარგი ქმედების კოეფიციენტმა +15 შეადგინა.**

ქართველი კალათბურთელის კარგი თამაში მის გუნდს წარმატებაში დაეხმარა და „ლენოვო ტენერიფემ“ მეტოქე ოვერტაიმში 87:83 დაამარცხა.

შერმადინი თავის გუნდში საუკეთესო იყო. 24 ქულა ჩააგდო მეტოქე გუნდიდან ისლანდიელმა ტრიგვი ჰილნასონმა.

აღნიშნული მოგების შემდეგ „ლენოვო ტენერიფეს“ 12 მოგება და 4 წაგება დაუგროვდა და 24 ქულით ლიდერებს „რეალ მადრიდს“, „ბარსელონას“ და „ბასკონიას“ გაუთანაბრდა. მომდევნო მატჩს ქართველი კალათბურთელის გუნდი 21 იანვარს „ბეტისის“ წინააღმდეგ გამართავს.




ბედისწერა

# ვიალიც წავიდა

**2022 წლის ბოლოს დაწყებული ტკივილიანი პროცესი გრძელდება – ამჯერად საფეხბურთო სამყარო ჯანლუკა ვიალის გამოეთხოვა. მისი ბედისწერა გვარწმუნებს, რომ ჯანმრთელობაზე ძვირფასი კაცობრიობას არაფერი გამოუგონია.**

ფული აკლდა? – მსგავსი არაფერი: სამშენებლო მაგნატის ვაჟი 60-ოთახიან სასახლეში ნებიერად იზრდებოდა. ასე რომ, გარანტირებული ჰქონდა როგორც უმაღლესი განათლების მიღება, ისე უზრუნველი მომავლით ტკბობა, მაგრამ სპორტის ყველაზე პოპულარული სახეობისკენ გააკეთა არჩევანი და არც შემცდარა.

დიახ, კრემონეზეში დაწყებული შთამბეჭდავი კარიერა გენუის სამპდორიაში მოხვეჭილი ექვსი ტიტულითა და რობერტო მანჩინისთან შექმნილი ბომბარდირთა მრისხანე დუეტით გაგრძელდა, რომლის გვირგვინიც ჩემპიონთა ლიგის მოგება უნდა



გამხდარიყო, მაგრამ უემბლიზე 1992 წლის გათამაშების ფინალური მატჩის წაგებამ ვარსკვლავურ ბარსელონასთან – 0:1 (კუმანი) ოცნების ახდენა ოთხი სეზონით გადაწია.

სიმბოლურია, რომ ტრიუმფი სამშობლოში გამოიჭედა, ოღონდ უკვე მარჩელო ლიპის გაწვრთნილი ზღაპრული ტურინის იუვენტუსის კაპიტნის ამპლუაში (1:1 აიაქსთან და გამარჯვება პენალტების სერიაში). სხვათა შორის, ლიპისთან თანამშრომლობის საწყისი სეზონი 22 გოლით აღნიშნა.

დაბოლოს – ჩელსი, სადაც რუუდ გულიტთან რთული ურთიერთობის მიუხედავად, როგორც მოთამაშე მწვრთნელმა, საკუთარ კოლექციას კიდევ ორი ჯილდო შემატა. ცალკე სასაუბრო თემაა ნაკრებში დადგმული სპექტაკლები.

მისი მაგალითი გვიდასტურებს, რომ იტალიელი ექიმებიც ცდებიან – ჯერ ნერვის გართულება ეგონათ, შემდეგ თიაქარის ოპერაცია გაუკეთეს, ხოლო საბოლოო დიაგნოზთან – კუჭის კიბოში გადაზრდილ ავთვისებიან სიმსივნესთან ბრძოლაში 58 წლისა დამარცხდა.

# განცხადება

## სსიპ რაფიელ დვალის მანქანათა მექანიკის ინსტიტუტი აცხადებს ღია კონკურსს შემდეგი სამეცნიერო თანამდებობების დასაკავებლად:

| | |
|---|---|
| 1. | თბოენერგეტიკული დანადგარების განყოფილების მეცნიერი თანამშრომელი – ერთი საშტატო ერთეული. |

### კონკურსის პირობები:

**მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობის დაკავება შეუძლია პირს,** თუ იგი არის შესაბამისი დარგის სპეციალისტი, აქვს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის გამოცდილება და აქვს მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი. კონკურსანტს მოეთხოვება განყოფილებაში მიმდინარე სამეცნიერო თემატიკით გათვალისწინებული ერთ-ერთი პროექტის შესრულებაში აქტიური მონაწილეობა. მიღებული შედეგების ანალიზი და სამეცნიერო ანგარიშების შედგენა.

**კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ:**

| | |
|---|---|
| ა) | განცხადება; |
| ბ) | პირადობის დამადსასტურებელი მოწმობის ასლი; |
| გ) | ავტობიოგრაფია (CV); |
| დ) | დოქტორის, ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის ასლი; |
| ე) | გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომების ნუსხა, ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობის დამადასტურებელი მასალები ( ბოლო 5 წლის განმავლობაში); |
| ვ) | ერთი სამეცნიერო ნაშრომის ასლი, რომელიც განმცხადებლის აზრით საუკეთესოდ წარმოაჩენს მის სამეცნიერო პოტენციალს, კვლევის უნარს; |
| ზ) | სამეცნიერო კვლევითი სამუშაოების ჩამონათვალი, რომელთა დამუშავებაშიც იღებდა მონაწილეობას (ბოლო 5 წლის განმავლობაში); |
| თ) | სამეცნიერო გრანტების ჩამონათვალი; |
| ი) | პატენტები, საავტორო მოწმობები, ლიცენზიები და მის სამეცნიერო მოღვაწეობასთან დაკავშირებული სხვა დამადასტურებელი დოკუმენტი; |
| კ) | შესაბამისი დარგის ორი მეცნიერის საკონტაქტო ინფორმაცია, რომელთაც შეიძლება რეკომენდაცია გაუწიონ განმცხადებელს ( სახელი, გვარი, ტელეფონი, ელ-ფოსტა, მისამართი). |
| | |
| | საბუთების მიღება იწარმოებს სსიპ რაფიელ დვალის მანქანათა მექანიკის ინსტიტუტში მისამართზე: თბილისი, ე. მინდელის ქ.#10. |
| | |
| | **საბუთების წარმოდგენის ბოლო ვადაა 2023 წლის 11 თებერვალი.** |
| | |
| | დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ – სვეტლანა ჩაგელიშვილს ტ.: 593 234 025, 2 329017. |

# განცხადება
## აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[I]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ლიბერთი ბანკის“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს ნიკა თოდუას საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** ნიკა თოდუა (პ/ნ 19001087149), ზუგდიდი, პუშკინის ქ. 23

**უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:** ზუგდიდი, სოფელი ახალსოფელი (საკადასტრო კოდი: 43.11.01.294https://naprweb.reestri.gov.ge/ - /search).

**უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 19609.62 ლარი.

3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2023 წლის 13 იანვარი, 15:00 საათი.

4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2023 წლის 27 იანვარი, 14:00 საათი.

5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP85775723;

აუქციონის ნომერი: 71271

ლოტის ნომერი: 857757

6. **მოვალე:** ნიკა თოდუა (პ/ნ 19001087149), ზუგდიდი, პუშკინის ქ. 23;

მალხაზ თოდუა (პ/ნ 19001018759), ზუგდიდი, სოფელი ნარაზენი;

ინგა თოდუა (პ/ნ 19001032098), თბილისი, ვაჟა-ფშაველას 23 კვარტალი, ბინა 34; ზუგდიდი, ჩილაჩავას ქ. 76;

მერაბ ბიგვავა (პ/ნ 19001013746), ზუგდიდი, ა. ფურცელაძის ქ. 40.

7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.

8. **აუქციონის პირობები:**

- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ლიბერთი ბანკი“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP85775723; ლოტის ნომერი: 857757).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2023 წლის 27 იანვრის 10:00 საათამდე.

## თურქეთში „კანონიერი ქურდი“ რევაზ ლორთქიფანიძე მოკლეს

**ტრაბზონში ქართველი „კანონიერი ქურდი“, რეზო ლორთქიფანიძე მოკლეს.**

**„პრაიმ კრაიმის“ ინფორმაციით, 64 წლის რევაზ ლორთქიფანიძე, რომელიც კრიმინალურ წრეებში ცნობილია როგორც „რეზო ტბილისსკი“, ცეცხლსასროლი იარაღით მოკლეს. საქმეზე ოთხი პირი ცხელ კვალზე დააკავეს. წინასწარი მონაცემებით, ისინი თურქეთში ბულგარეთიდან შევიდნენ.**

## ხსოვნა გულისა

# სერგო ჯომიდავას გახსენება



**40 დღე გავიდა სერგო შენი გარდაცვალებიდან.**

**ჩვენ ახალგაზრდობიდან მოვდივართ ერთად.**

**სოხუმის მ. გორკის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის გეოგრაფიის ფაკულტეტის წარჩინებით დამთავრების შემდეგ მეუღლესთან ერთად გაგანაწილეს აჭარის სოფლსაბჭოს სოფელ ჩხალთის რვაწლიან სკოლაში მასწავლებლად. აი, აქ გავიცანით ჩვენ, სრულიად ახალგაზრდებმა ერთმანეთი. ამის შემდეგ პედაგოგიური მოღვაწეობა განაგრძე გულრიფშის რაიონის ოქტომბრის რვაწლიან სკოლაში, სადაც დაუღალავად ემსახურებოდი მომავალი თაობის აღზრდას.**

**არაერთი თაობა იხსენებს შენს მიერ ჩატარებულ გეოგრაფიის გაკვეთილებს. შენ შეაყვარე მათ ეს საგანი. 1970 წლიდან პენსიაზე გასვლამდე კი მუშაობდი გულრიფშის რაიონის განათლების განყოფილებაში მეთოდკაბინეტის გამგედ.**

**გყავდა უამრავი მეგობარი. აფხაზეთის ომმა დაგატოვებინა მშობლიური მხარე და 1994 წლიდან თბილისში აღმოჩნდი. თანდათან გვტოვებდნენ ჩვენი თაობის თანაქალაქელები თუ მეგობრები, რასაც მტკივნეულად განიცდიდი. მე და შენ შემოვრჩით ერთმანეთს ბოლოს, სერგო. ხშირად ვხვდებოდით და ვიგონებდით წარსულის ბედნიერ დღეებს. შენც დამტოვე. თან წაიღე აფხაზეთში დაბრუნების იმედი და დიდი სევდა.**

**უფალმა დაგიმკვიდროს ცათა სასუფეველი! შენი შვილები არ მოგაკლებენ ყურადღებას, ილოცებენ შენი სულისათვის! მომენატრები, დამაკლდები.**

შენი მეგობარი

**ავთო სერგია**

# საკვების კრიზისი მსოფლიოში

**გინდ დაიჯერეთ, გინდ არა, მსოფლიოს ყოველწლიურად მილიონობით ადამიანი ემატება, რომელთაც შიმშილის საფრთხე ემუქრება.**

გაეროს მსოფლიო სასურსათო პროგრამის (**WFP**) აღმასრულებელი დირექტორის, დევიდ ბისლის განცხადებით, 2023-წელს ეს რიცხვი კიდევ გაიზრდება.

კონფლიქტებისა და ჯანდაცვაში შექმნილი ვითარების გარდა, შიმშილის ზრდის მიზეზად ბისლიმ დაასახელა სასუქებზე მაღალი ფასები, გვალვა, მიწოდების ჯაჭვის მოშლა, საწვავის ფასებისა და ტრანსპორტირების ხარჯების ზრდა.

**„როდესაც 6 წლის წინ თანამდებობა დავიკავე, შიმშილით 80 მილიონი ადამიანი იტანჯებოდა. კორონავირუსის პანდემიის დაწყებამდე, მათი რიცხვი 135 მილიონს აღწევდა – პანდემიის შედეგად, ეს რიცხვი 276 მილიონამდე გაიზარდა. და ეს ყველაფერი ეთიოპიაში, უკრაინასა, და ავღანეთში შექმნილ ვითარებამდე. ამას დავამატოთ სასუქებზე ფასების ზრდა, გვალვები, მიწოდების ჯაჭვის შეფერხება, საწვავის ფასების და ტრანსპორტირების ხარჯების ზრდა, და მივიღებთ 349 მილიონ ადამიანს, რომლებსაც შიმშილი ეხება. სავსებით შესაძლებელია, რომ 2023 წელს ყველასთვის საკმარისი საკვები აღარ გვქონდეს“,** – თქვა მან. ბისლის თქმით, მხოლოდ უკრაინას შეეძლო 400 მილიონი ადამიანის გამოკვება.

**„მსოფლიოს ყველაზე დიდი მარცვლეულიდან ჩვენ პურის რიგებზე გადავედით“,** – თქვა მან და დასძინა, რომ **„იმედგაცრუებულია მსოფლიო ლიდერებით“, რომლებსაც არ შეუძლიათ სერიოზული პრობლემების გადაჭრა – უკრაინაში, იემენში, ეთიოპიაში...**



# „ცეკვის ვარსკვლავები“ - ბაბი კირკიტაძე და ერეკლე გვირგვლიანი

**იმედზე „ცეკვავენ ვარსკვლავების“ მე-11 სეზონი დასრულდა. მეგაშოუს გამარჯვებულები ბაბი კირკიტაძე და ერეკლე გირგვლიანი გახდნენ.**

„ცეკვავენ ვარსკვლავები“ 31 ოქტომბერს დაიწყო და 14 ნოემბერს დასრულდა.

პროექტის მონაწილე წყვილები იყვნენ:

მომღერალი **მანანა თოდაძე** და მოცეკვავე **ნოდო ჯანიაშვილი;** ანსამბლ „მართვეს“ სამხატვრო ხელმძღვანელი **მიშო ჯავახიშვილი** და მოცეკვავე **კარინა ლისენკო**; მოდელი და ფიტნეს-ინსტრუქტორი **ვანესა გუტიერესი** და მოცეკვავე **ოთო ფოლადაშვილი** (მესამე ადგილი); მომღერალი, ტელეწამყვანი **ოლგა პოლიაკოვა** და მოცეკვავე **მაქსიმ ეჟოვი**; მომღერალი **ბაბი კირკიტაძე** და მოცეკვავე **ერეკლე გირგვლიანი**; მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი ნიჩბოსნობაში **ალექსანდრე წივწივაძე** და მოცეკვავე **ჯულიანა ბარგნარი**; საოპერო მომღერალი **ლადო ათანელი** და მოცეკვავე **ირა კვიტინსკაი**ა; მომღერალი **თათა გიორგობიანი** და მოცეკვავე **რატი გაჩეჩილაძე**; მსახიობი **გიორგი ცაავა** და მოცეკვავე **მზია ორველაშვილი**; მსახიობი და ტელეწამყვანი **ნიკო ნანიტაშვილი** და მოცეკვავე **ელენე დავითაია (მეორე ადგილი)**; მსახიობი, ტელეწამყვანი **ნინუცა მაყაშვილი** და მოცეკვავე **ირაკლი ძაძამია**; ტიკტოკერი **ალესანდრო კარუზო** და მოცეკვავე **ანა ბირთველიშვილი**.



ჟიურის წევრები იყვნენ – **გოჩა ჩერტკოევი, ირაკლი მაქაცარია** და **სოფო შევარდნაძე.**

# „ნატვრის ხე“ - საჩხერეში

**12 იანვარს საჩხერის კულტურის ცენტრში პაოლო იაშვილის სახელობის საჩხერის თეატრის დასმა გიორგი ლეონიძის შემოქმედების მიხედვით დადგმული სპექტაკლი „ნატვრის ხე“ წარმოადგინა. ღონისძიებას ესწრებოდა საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრი თეა წულუკიანი.**

სპექტაკლის დამდგმელი რეჟისორია **გიორგი მეტონიძე,** მუსიკალური გამფორმებელი – **ლიკა დარბაიძე**, ქორეოგრაფი – **ბუბა სავანელი.**



სპექტაკლის პრემიერა გაიმართა 2022 წლის ივნისში, ფესტივალზე „თეატრალური იმერეთი“ და ნომინაცია – „საუკეთესო სცენოგრაფია“ – სწორედ ამ წარმოდგენამ მიიღო. აღსანიშნავია, რომ 2022 წლის 20 დეკემბერს პაოლო იაშვილის სახელობის საჩხერის თეატრმა სეზონი კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს დაფინანსებით შეძენილი ახალი სასცენო განათებით გახსნა. საქართველოს კულტურის სამინისტრო, 2021 წლიდან, არაერთი კონკურსისა და ღონისძიების მეშვეობით ხელს უწყობს მუნიციპალეტეტების დაქვემდებარებაში მოქმედ კულტურის სახლებში არსებულ თეატრალურ დასებს. უფრო მეტიც, 2022 წლის 22 დეკემბერს სამოყვარულო და სახალხო დასებისა და კერძო თეატრებისთვის კულტურის სამინისტრომ სიღნაღის მუნიციპალიტეტთან ერთად „სიღნაღის თეატრალური ფესტივალი“ დააფუძნა.

თეატრალური ფესტივალი სიღნაღში ყოველწლიურად ივნისის თვის ბოლოს ერთი კვირის განმავლობაშიგაიმართება. ფესტივალი სამინისტროს, სიღნაღის მუნიციპალიტეტისა და კერძო დონორების ფინანსური ხელშეწყობით განხორციელდება.

ფესტივალის მიზანია ქვეყანაში სამოყვარულო ანჰდა სახალხო დასების (რომელთაც არ გააჩნიათ დამოუკიდებელი იურიდიული სტატუსი), მხარდაჭერა და ქართულ თეატრალურ სამყაროსთან მათი ინტეგრაცია; კერძო თეატრების მხარდაჭერა; საქართველოში თეატრალური პროცესების წახალისება და ხელშეწყობა; ქ. სიღნაღის კულტურულ-შემოქმედებითი მიზიდულობის ცენტრად ჩამოყალიბების ხელშეწყობა და თეატრალური ხელოვნების პოპულარიზაცია.



# მესტიამ „გემო-ფესტს“ უმასპინძლა!..

**„გემო-ფესტის“ დღესასსწაული, რომლის მიზანიც გასტრონომიული ტურიზმის ხელშეწყობა-განვითარება და საქართველოს რეგიონებში ადგილობრივი სამზარეულოს პოპულარიზაციაა ამჯერად ულამაზესი მესტია მასპინძლობდა.** სვანეთში ღონისძიება ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ორგანიზებითა და მესტიის მუნიციპალიტეტის მხარდაჭერით გაიმართა და მის გახსნას, ეკონომიკის მინისტრის მოადგილე მარიამ ქვრივიშვილი და ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხელმძღვანელი მაია ომიაძე დაესწრნენ.

ფესტივალი გასულ ზაფხულს რაჭაში ჩატარდა და მაღალი შეფასება დაიმსახურა როგორც ტურიზმის, ისე გასტრონომიის სპეციალისტების მხრიდან. „გემო ფესტის“ ფარგლებში კვების სივრცე მოეწყო, სადაც ფესტივალის მონაწილეები სტუმრებს სვანურ კერძებს სთავაზობდნენ, აცნობდნენ მდიდარ, ტრადიციულ ადგილობრივ სამზარეულოს. ფესტივალის ჩატარებამდე კი ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ორგანიზებით, გამოცდილმა შეფ-მზარეულებმა ღონისძიებაში მონაწილეობის მსურველებს კერძების მოსამზადებლად რეკომენდაციები მისცეს და საკუთარი გამოცდილებაც გაუზიარეს. ფესტივალის ფარგლებში სხვადასხვა სახის გასართობი აქტივობები გაიმართა; ბავშვებისა და უფროსებისთვის, შედგა დაუვიწყარი კონცერტი.

# თუთიყუშების ფერმა გორში

ზოოტექნიკოსმა **ილია მთვარელიძემ** გორში თუთიყუშების ფერმა მოაშენა. ფერმის მფლობელმა სხვა ფერმერების საქმიანობაში ჩართვისა და გაძლიერებისთვის ერთგვარი პაკეტიც კი შეიმუშვა.



**– თუთიყუშები ჩვენს ქვეყანაში ჩეხეთიდან და სომხეთიდან შემოდის, ამიტომ გადავწყვიტე გორში ფერმის გაშენება, რადან ამ სფეროში იმპორტირება აღარ დაგვჭირებოდა. ამჟამად 400 ცალი მყავს, თუმცა მათი გამრავლებისა და სხვა ფერმერების საქმიანობაში ჩართვისთვის ერთგვარი პაკეტი შევიმუშავე – თუთიყუშების ათი ოჯახია გალიაში, თანდართული აქვს მისი მოვლის და გამრავლების ინსტრუქციებიც, საფასური 2 500 ლარია და როდესაც მომხმარებელი ყიდულობს. მასთან 120-240 დღე კონტაქტი მაქვს, ვაძლევ რჩევებს და ა.შ. შემდეგ კი, გამრავლებულ თუთიყუშებს, ანუ ნამატს, ისევ მე ვყიდულობ.**

**საერთო ჯამში, ეს პაკეტი ჩემი მომხმარებლისთვის ძალიან მომგებიანია, რადგან მათი 200%-იან მოგებაზე გაყვანა შემიძლია, დაინტერესებულიც ბევრი ფერმერია, ერთ-ერთი უკვე 100 წყვილზე შემითანხმდა. საერთო ჯამში ძალიან პერსპექტიული საქმიანობაა, მას შემდეგ რაც რაოდენობა გაიზრდება, უკვე ექსპორტზე ფიქრიც შეგვიძლია, ეს სფერო კარგად მესმის, ამიტომ რეალიზების პრობლემა არ შეიქმნება.** – განაცხადა ილია მთვარელიძემ.



# მეგალოდონის კბილი პლაჟზე

**აშშ-ში 9 წლის გოგომ ზვიგენების გადაშენებული სახეობის – მეგალოდონის კბილი იპოვა. მოლი სემპსონი შობას მერილენდში, კალვერტ ბიჩზე დედასთან ერთად მივიდა და ამბობდა, რომ მეგალოდონის პოვნა უნდოდა. მას გაუმართლა და ზვიგენის კბილი წყალში აღმოაჩინა.**

ოჯახმა კბილი მერილენდის მუზეუმში მიიტანა, სადაც სპეციალისტებმა დაადასტურეს, რომ ის მართლაც მეგალოდონს ეკუთვნოდა და „მომავალ პალეონტოლოგ“ მოლის მისი პირველი აღმოჩენა მუზეუმის ოფიციალურ Facebook-გვერდზე მიულოცეს. მათ ასევე აღნიშნეს, რომ ასეთი აღმოჩენები იშვიათი მოვლენაა. მეგალოდონი ზვიგენის გადაშენებული სახეობაა. იგი ითვლება ყველა დროის უდიდეს ზვიგენად და, შესაბამისად, უდიდეს თევზად მსოფლიოს ისტორიაში. მისი სიგრძე 20 მეტრს აღემატებოდა.

საქართველოს რესპუბლიკა

SAKARTVELOS RESPUBLIKA

ჭავჭავაძის გამზირი №17ე

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
599 36-00-35

მთავარი რედაქტორის მოადგილე
მამუკა ვაშაკიძე
597-22-07-04

ტექნიკური რედაქტორი
კახა ქორიძე

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

გამომცემლები:
შპს 100 – ახალი „საქართველოს რესპუბლიკა“ გაზეთ „ საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79

იბეჭდება სტამბა „კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323

2 009882 616932

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

**გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ხუთშაბათს, 19 იანვარს**

**უცხოური ვალუტის კურსი:**
აშშ დოლარი - 2.6789; ევრო - 2.9039;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.2766;
100 რუბლი - 3.9731; თურქული ლირა - 0.1435;
აზერბაიჯანული მანათი - 1.5792;
1000 სომხური დრამი - 6.7564

**ამინდი 16 იანვრისთვის**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| აღმოსავლეთი საქართველო: | | | | |
| ბარი - | ღამე | -8, | დღე | +9 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | -10, | დღე | +8 |
| დასავლეთი საქართველო: | | | | |
| ბარი - | ღამე | 0, | დღე | +15 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | -5, | დღე | +12 |
| თბილისი: | ღამე | -4, | დღე | +8 |

**დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:**
ტელ: 599-79-76-79, 599-36-00-35
ელ. ფოსტა: sakresp@top.ge
და sakresp@mail.ru
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge